[stamp] 3602

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა 20 აპრილი 1941 წ. № 93 (6098) ფასი 15 კაპ.

მებოსტნეობის შემდგომი განვითარების გადამწყვეტი პირობა

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ზრდის შედეგად წლითიწლობით იზრდება მოთხოვნილება ბოსტნეულ - ბაღჩეულ კულტურებზე. საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ ამოცანად დაგვისახა გავადიდოთ ბოსტნეული კულტურების ფართობი და მისი მოსავლიანობა. ამ საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბოსტნეულის მეთესლეობის მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველვყოთ საკუთარი, მაღალხარისხოვანი, ჯიშიანი ბოსტნეულის თესლით.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოები არასაკმაო ყურადღებას აქცევდნენ ბოსტნეულის მეთესლეობის განვითარებას, შეუფასებლობას იჩენდნენ განსაკუთრებით ორწლიანი კულტურების (სუფრის ჭარხალი, სტაფილო, კომბოსტო და სხვ.) სადედეების გაფართოებისა და მოვლისადმი, წლობით არ ასრულებდნენ სათესლეების გაშენებისა და თესლის დამზადების გეგმებს. მაგალითად 1940 წელს ბოსტნეული კულტურების თესლის დამზადების გეგმა სანახევროდაც არ შეუსრულებიათ მცხეთის, ვანის, წყალტუბოს, სამტრედიისა და ქუთაისის რაიონებს. წყალტუბოს, გორის, თელავის, ვანის, ქუთაისის, ქარელისა და სხვ. რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში ადგილი ჰქონდა სათესლე ნაკვეთებზე მიღებული პომიდორის, ხახვის და სხვ. მოსავლის სასურსათო მიზნით გამოყენების ყოვლად შეუწყნარებელ ფაქტებს. მებოსტნეობის შემდგომი განვითარების ინტერესები მოითხოვენ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა, პირველ რიგში სამიწათმოქმედო ორგანოებმა ყველა საჭირო დასკვნა გააკეთონ გასული წლის გაკვეთილებიდან და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან სათესლე მასალის განიავება.

1941 წელს ბოსტნეულ - ბაღჩეულ კულტურათა მეთესლეობის განვითარების დარგში ფრიად სერიოზული ამოცანებია დასმული. ბევრგან ეს კარგადაც აქვთ გათვალისწინებული. მაგალითად, ლუქსემბურგის, ვანისა და ახალციხის რაიონებმა დროულად დაამთავრეს ჯიშიანი თესლის კონტრაქტაცია და შეასრულეს სათესლე ბოსტნეულის საგაზაფხულო თესვის გეგმებიც. მიმდინარე წელს საქართველოში ბოსტნეულ - ბაღჩეული კულტურების ჯიშიანი თესლის კონტრაქტაცია დაწესებულია 1.073 ჰექტარზე. ეს სამუშაო ყველგან დამთავრდა, ამბროლაურის რაიონის გამოკლებით. ამ რაიონში ბოსტნეულის კონტრაქტაცია გეგმით გათვალისწინებული იყო 153 ჰექტარზე. კონტრაქტაციის დამთავრების ვადა უკვე ამოიწურა, აქ კი საქმეს ჯერაც არ შესდგომიან. როგორც სჩანს, ბოსტნეულის მეთესლეობის ქუთაისის ბაზის და ამბროლაურის რაიმიწგანის ხელმძღვანელები არ ითვალისწინებენ იმას, რომ ამ შეუწყნარებელი უდარდელობით საფრთხის წინაშე აყენებენ მებოსტნეობის ჯიშიანი თესლის კონტრაქტაციის რესპუბლიკური გეგმის შესრულებას.

ის კოლმეურნეობები, რომლებიც გადამეტებით შეასრულებენ სუფრის სტაფილოს, სუფრის ჭარხლის, კომბოსტოს, ხახვის, მუხრანული კიტრის, თვის ბოლოკისა და პომიდორის თესლის კონტრაქტაციის გეგმას, მიიღებენ გეგმის გადამეტებით ჩაბარებული თესლის ყოველ კილოგრამზე პრემია-წანამატს დამზადების ფასის 30 პროცენტის, ხოლო დანარჩენ კულტურათა თესლზე 20 პროცენტის რაოდენობით. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილებით მებოსტნეობის რგოლის კოლმეურნეებისათვის, რომელნიც გადაჭარბებით შეასრულებენ ბოსტნეულ - ბაღჩეული კულტურების თესლის მოსავლიანობის გეგმას, დაწესებულია შრომის დამატებითი ანაზღაურება.

ყოველივე ეს უდიდეს სტიმულს ჰქმნის იმისათვის, რომ წარმატებით შევასრულოთ საწარმოო დავალებანი ბოსტნეულის მეთესლეობის დარგში.

მაგრამ ზოგან ამ დიდ ხელშემწყობ პირობებს სათანადოდ ვერ იყენებენ, და ამითაც უნდა აიხსნას ჩამორჩენა ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების სათესლეების თესვაში. მაგალითად, გურჯაანის რაიონს დაწესებულ ვადაზე სათესლეთვის ბოლოკის თესვის გეგმა ერთი მესამედით ჰქონდა შესრულებული. სათესლე ლობიოს თესვა აღმოსავლეთ საქართველოში 25 აპრილამდე უნდა დამთავრდეს. მიუხედავად ამისა, ყვარლის, თელავისა და გურჯაანის რაიონები თესვას ძალიან აჭიანურებენ. დროა მტკიცედ იქნას გათვალისწინებული, რომ თესვის აგროტექნიკური ვადების დარღვევა საფრთხეს უქმნის მაღალი მოსავლის მიღებას.

საჭიროა სსს რესპუბლიკის მიწსახკომმა, „საქბოსტანჯიშთესლმა" და ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა მეტი ოპერატიული ხელმძღვანელობა და დახმარება აღმოუჩინონ მეთესლეობის კოლმეურნეობებს და უზრუნველჰყონ ყველგან მაღალი აგროტექნიკის დანერგვა.

უხვი მოსავლის მიღება იმ შემთხვევაში იქნება უზრუნველყოფილი, თუ სათესლე ფართობებს მივამაგრებთ სპეციალურ ბრიგადებსა და რგოლებზე, სათესლე ნათესებისა და სადედეების დასარგავად შევარჩევთ ქარისაგან დაცულ ნაკვეთებს, გულდასმით ჩავატარებთ თესვის წინ ნიადაგის დამუშავებას, განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ნათესების მოვლა-პატრონობას, მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლას, მინერალური და ორგანული სასუქების სწორად გამოყენებას, ნათესების მორწყვას ამინდის პირობების შესაბამისად და მოსავლის უდანაკარგოდ აღებას.

მიმდინარე წელს გათვალისწინებულია ყარაიის, ბორჩალოს, ლუქსემბურგის, ახალციხის, თელავის, გურჯაანისა და ვანის რაიონებში აიგოს თესლის შესანახი საწყობები. მაგრამ სსს რესპუბლიკის მიწსახკომი ამ საქმეზე ჯერჯერობით ნაკლებად ზრუნავს. ადგილებზე დაშვებული არ არის სათანადო კრედიტები, არ მოუმარაგებიათ საშენი მასალა, არც ადგილობრივი რესურსების გამოყენებისათვის არის მიღებული გადამჭრელი ზომები. თესლსაცავების მშენებლობის დამკვრელური ტემპებით გაჩაღებას ამთავითვე უნდა მიექცეს სერიოზული ყურადღება.

ბოსტნეულ-ბაღჩეულ კულტურათა მეთესლეობის კოლმეურნეობები წელს დიდი ამოცანების წინაშე დგანან; მათ ყველა პირობა გააჩნიათ ჯიშიანი თესლის უხვი მოსავლის მიღებისათვის. ბოსტნეულის საკუთარი თესლით საქართველოს რესპუბლიკის დაკმაყოფილება მებოსტნეობის შემდგომი განვითარების გადამწყვეტი პირობაა. ყოველივე ეს გვავალებს დაჩქარებით აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, პირნათლად შევასრულოთ სიღნაღელთა და მახარაძელთა მოწოდების საპასუხოდ ნაკისრი ვალდებულებები, კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დიადი დროშა, და მაღალი მოსავლისათვის ბრძოლა გავშალოთ ისე, რომ შევასრულოთ საქ. კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის გადაწყვეტილებანი.

საჭადრაკო მატჩ-ტურნირი

ტურნირზე აჯამებენ 15 ჩატარებული ტურის შედეგებს. 18 აპრილი იყო დაუმთავრებელი პარტიების გათამაშების პირველი დღე.

ლილიენტალმა და სმისლოვმა თამაშის განუახლებლად თავიანთი პარტია, რომელიც მე-11 ტურში იყო გადადებული, ყაიმად აღიარეს. მე-64 სვლაზე ბოლესლავსკი და კერესიც ყაიმზე შეთანხმდნენ.

ყაიმით დამთავრდა აგრეთვე მე-14 ტურში გადადებული პარტიები — ბოლესლავსკი - სმისლოვისა და ბონდარევსკი - ბოტვინიკისა.

ახლა ბოტვინიკს აქვს 7 ქულა 11 გათამაშებული პარტიიდან, კერესსა და სმისლოვს შიდ-შიდი ქულა 14-დან, ლილიენტალს 5,5 ქულა 12-დან, ბონდარევსკის — 5 ქულა 11-დან და ბოლესლავსკის— 4,5 ქულა 10-დან.

19 და 20 აპრილი დაუმთავრებელი პარტიების გათამაშების დღეებია. (საქდესი).

ღირსშესანიშნავი ამბების აღნიშვნა

ქალაქ რევდაში (სვერდლოვსკის ოლქი) ტარდება საუბრები და მოხსენებები, რომლებიც მიძღვნილია რევდელ ნახშირმწველთა მღელვარების დაწყების ასი წლისთავისადმი. ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა წარმოადგენს იმ ბრძოლის ერთერთ ყველაზე უფრო მკაფიო ეპიზოდს, როდესაც ურალის ბატონყმობის დროინდელი მუშები მექარხნეთა თვითნებობის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

რევდელმა ნახშირმწველებმა პროტესტი განაცხადეს უსასტიკესი ექსპლუატაციის წინააღმდეგ და 1841 წლის 19 აპრილს (ახალი სტილით) მუშაობა მიატოვეს. შეშფოთებულმა ადმინისტრაციამ ეკატერინბურგიდან 2 ასეული ჯარისკაცი გამოიწვია და სასტიკად გაუსწორდა მუშებს, რომლებიც არაადამიანური ექსპლოატაციის შემსუბუქებას მოითხოვდნენ. მოკლული და დაჭრილი იყო 256 კაცი. რევდის მღელვარების შესახებ აღძრული საქმის გამო სამართალში მისცეს 555 კაცი. ბევრი მათგანი კატორღაში გაგზავნეს, სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და სასჯელის სხვა ღონისძიებანი შეუფარდეს. (საქდესი).

სოფლის მოსახლეობის დაკრედიტება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ცალკეულ გლეხურ მეურნეობათა დაკრედიტების გეგმა. კოლმეურნეობანი მიიღებენ დიდ სესხს მეცხოველეობის, სუბტროპიკული მეურნეობის, მებაღეობისა და მევენახეობის განსავითარებლად. მნიშვნელოვანი თანხებია გამოყოფილი მელიორაციის, ტყის გაშენებისა და სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის ღონისძიებათა დასაკრედიტებლად.

სესხი ეძლევათ მანქანების შესაძენად, მინერალური სასუქის შესასყიდად, წისქვილებისა და სხვა დამხმარე საწარმოთა მშენებლობისათვის.

მნიშვნელოვანი თანხები გადაიდება ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის რესპუბლიკების მშრომელი გლეხების მეურნეობათა და შრომითი გაერთიანებების დასაკრედიტებლად.

გამოყოფილია კრედიტები საწარმოების მიერ დამხმარე მეურნეობათა მოსაწყობად.

დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მასწავლებელთა, ექიმთა, მუშათა და სპეციალისტთა დაკრედიტებას სოფლად. მათ მიეცემათ სესხი პროდუქტიული პირუტყვის შესაძენად და სახლების ასაგებად. (საქდესი).

საბჭოთა ბიოქიმიკოსების ახალი ნაშრომები

უნიკოტინო თამბაქო

მოსკოვი, 18 აპრილი (საქდესი). დღეს აკადემიკოს ა. ნ. ბახის თავმჯდომარეობით შესდგა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა.

საბჭოთა ბიოქიმიკოსების ახალი ნაშრომების შესახებ მოხსენებით გამოვიდა მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ა. ი. ოპარინი.

— მცენარის ნედლეულის ბიოქიმიის ლაბორატორიაში, — განაცხადა მან, — პროფესორ შმუკის ხელმძღვანელობით დიდი მუშაობა ჩატარდა. დამტკიცებულია, რომ, თუ თამბაქოს დავამყნით სხვა მცენარეზე პამიდორზე, კარტოფილზე და სხვ. მაშინ ფოთლები ნორმალურად ვითარდებიან, ისე, როგორც თამბაქოს ფოთლები, მაგრამ ეს ფოთლები ნიკოტინს არ შეიცავენ. პირიქით, თუ თამბაქოს ძირზე დავამყნით პამიდორს ან კარტოფილს, მაშინ ფოთლებში ნიკოტინი იქმნება. ამგვარად, ვეგეტატიური გიბრიდიზაციის დროს ხდება არა მარტო გარეგნული, არამედ ღრმა ქიმიური ცვლილებები როგორც დამყნილ მცენარეებში, ისე მათს შთამომავლობაშიც. ეს ძირიანად სცვლის ჩვენს წარმოდგენას მემკვიდრეობაზე, ქიმიურად ადასტურებს აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მიერ წამოყენებულ დებულებებს ვეგეტატიური გიბრიდიზაციის კანონების შესახებ. საბჭოთა მეცნიერები ახალ გზებს ჰკაფავენ იქითკენ, რომ აქტიური გავლენა მოახდინონ მემკვიდრეობაზე, წაიყვანონ იგი საჭირო მიმართულებით.

უკანასკნელ დროს ჩვენი ბიოქიმიკოსები სწავლობენ პრობლემას, რომელსაც განსაკუთრებული სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ისინი იკვლევენ მარცვლისა და ბოსტნეულის მოსავლის შენახვის მეთოდებს. დადასტურებულია, რომ დაბალი ტემპერატურის დროს კარტოფილი ჰკარგავს თავის გემოს, ვინაიდან სახამებელი შაქრად იქცევა. მაგრამ თუ სიცივეში ხანგრძლივი შენახვის შემდეგ კარტოფილს ცოტა ხნით სითბოში შევინახავთ, შაქარი კვლავ სახამებლად იქცევა და პროდუქტი სრულფასოვანი ხდება. ეს საშუალებას გვაძლევს ორმოებში შევინახოთ თოვლმოყრილი კარტოფილი. შენახვის ასეთი მეთოდი იაფია და საგრძნობლად ამცირებს კარტოფილის დანაკარგებს.

სსრ კავშირის ხალხთა მუზეუმში

მოსკოვის სსრ კავშირის ხალხთა მუზეუმში გაიხსნა საბჭოთა უკრაინისადმი მიძღვნილი დიდი განყოფილება. მრავალრიცხოვანი დიაგრამები, დოკუმენტები, მაკეტები და რუკები მოგვითხრობენ თავისი დამოუკიდებლობისათვის უკრაინული ხალხის გმირულ ბრძოლაზე, რუსეთის სფს რესპუბლიკის შემდეგ უდიდესი მოკავშირე რესპუბლიკის სოციალისტურ აყვავებაზე. განყოფილებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი უკრაინული კულტურის მიღწევათა ჩვენებას. რესპუბლიკამ სტალინური პრემიების ბევრი ლაურეატი მოგვცა. მარტო ეს ფაქტი მჭერმეტყველურად მოწმობს ნიჭიერი ხალხის გრანდიოზულ წარმატებებს. სპეციალური განყოფილებები მიძღვნილია უკრაინის დასავლეთ ოლქებისადმი. (საქდესი).

სემინარი პარტიული აქტივისათვის

პარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტმა რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკებისათვის მოაწყო სემინარი ეკონომიურ საკითხებზე. მსმენელთა შორის არიან სახალხო კომისრები, პარტიის ცენტრალური და ბაქოს კომიტეტების განყოფილებათა გამგეები, პარტიის რაიკომების პირველი მდივნები, ნავთის ტრესტების მმართველები. (საქდესი).

სოციალისტური შეჯიბრება მაღალი მოსავლისათვის

რატომ ჩამორჩა საგაზაფხულო თესვა თელავის რაიონში

თელავის რაიონი დროულად გამოეხმაურა სიღნაღის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა მიმართვას მაღალი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ. თელაველებმა კონკრეტული ვალდებულებებიც აიღეს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ მთელი რიგი კოლმეურნეობები სუსტად იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად. ამას ისიც მოწმობს, რომ თელავის რაიონში საგაზაფხულო სამუშაოები ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს. 15 აპრილისათვის კოლმეურნეობებში დათესილი იყო 4.025 ჰექტარი — გეგმის 36,8 პროცენტი.

ეს ჩამორჩენა გამოწვეულია იმით, რომ კოლმეურნეობებში ხვნა-თესვაზე მთლიანად გამოყენებული არ არის მუშა-პირუტყვი. სოფ. ნაფარეულის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში მუშა-პირუტყვს ხვნა-თესვაზე არ იყენებენ. ასეთივე მდგომარეობაა სოფ. ნაფარეულის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში, რის გამო აქ ხვნა-თესვაში დიდი ჩამორჩენაა. ეს ფაქტები გამონაკლისს როდი წარმოადგენს.

ჩამორჩენის მიზეზი ისიც არის, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოუწესრიგებელია შრომა, საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციები და კოლმეურნეობათა გამგეობები სუსტად იბრძვიან შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. სოფ. რუისპირის დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად-საკავშირო მეორე ყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე არ არის ჩაბმული საკოლმეურნეო შრომაში. პირველ ბრიგადაში 43 მუშა-ხელიდან 5 მარტს სამუშაოზე გასული იყო მხოლოდ 3 კაცი, 10 მარტს — 7, 17 მარტს — 11, 3 აპრილს — 3 და 6 აპრილს — 10 კოლმეურნე. 225 კოლმეურნიდან საწარმოო ბრიგადებში განაწილებულია მხოლოდ 145, დანარჩენი კი ბრიგადების გარეთ არის დარჩენილი. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 13 მარტის დადგენილება აქ ფორმალურად დაამუშავეს, დამუშავების შედეგად არავითარი კონკრეტული ღონისძიებანი არ მიუღიათ. ამავე სოფლის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავში" (თავმჯდომარე ძამუკაშვილი) 494 კოლმეურნიდან საწარმოო ბრიგადებზე მხოლოდ 267 კოლმეურნეა მიმაგრებული. გარდა ამისა, აქ ჯერ კიდევ არ შეუმუშავებიათ სამუშაოთა გამომუშავების ნორმები. მოუწესრიგებელია აღრიცხვა, დაბალია შრომის დისციპლინა.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 13 მარტის დადგენილებაში მთელი სერიოზულობით არის აღნიშნული რგოლური მუშაობის უდიდესი მნიშვნელობა შრომის ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის ზრდის საქმეში. მაგრამ ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჯერ კიდევ სერიოზულად არ მოუკიდნიათ ხელი რგოლების მოწყობისათვის. სოფ. რუისპირის დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად-საკავშირო მეორე ყრილობის სახელობის კოლმეურნეობაში რგოლები ფორმალურად არის მოწყობილი, მათზე დღემდე არ არის მიმაგრებული მიწის ნაკვეთები. ასეთივე მდგომარეობაა კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავში". ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ძამუკაშვილი სრულ უპასუხისმგებლობას იჩენს რგოლური მუშაობის დანერგვისადმი.

საგაზაფხულო თესვაში ჩამორჩენის ერთერთი მიზეზია აგრეთვე თელავის მტს-ის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. მტს-ი უზრუნველყოფილი არ არის სათადარიგო ნაწილებით. აკლიათ 10 ტრაქტორისტი, ტრაქტორები ცუდად შეაკეთეს და ამის შედეგია ის, რომ ტრაქტორები მინდვრად მუშაობის დროს ხშირად ჩერდება. სოფ. რუისპირის უბნის მეექვსე სატრაქტორო ბრიგადა გადასახნავი გუთნის უქონლობის გამო მთელ დღეს მოსცდა. ტრაქტორი № 37 სამუშაოზე არ გაუყვანიათ მაგნეტოს უქონლობის გამო. 25 ტრაქტორს ღამით ვერ ამუშავებენ, რადგან დინამოები არ მოეპოვებათ. მთელ რიგ სატრაქტორო ბრიგადებში დანერგილი არ არის ორ ცვლად მუშაობა.

აი ის მიზეზები, რომლებითაც გამოწვეულია საგაზაფხულო სამუშაოთა ჩამორჩენა თელავის რაიონში.

თელავის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებმა ყველა საჭირო დასკვნა უნდა გააკეთონ შექმნილი მდგომარეობიდან, უახლოეს დღეებში გამოასწორონ სამარცხვინო ჩამორჩენა და საქმით იბრძოლონ მაღალი მოსავლის მიღებისათვის.

შ. კახიძე
გ. ბლიაძე

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორები.

შაქრის ჭარხლის თესვა

საქმიწსახკომის ცნობებით, 15 აპრილისათვის ქართლის რაიონებსა და სამხრეთ-ოსეთში შაქრის ჭარხალი დათესილი იყო სულ 4.218 ჰექტარზე, რაც გეგმის 76,7 პროცენტს უდრის. შარშან კი ამავე რიცხვისათვის დათესილი იყო 5.157 ჰექტარი, გეგმის 93,8 პროცენტი.

სამხრეთ-ოსეთში შაქრის ჭარხალი დათესილია 37 ჰექტარზე, გეგმის 12,3 პროცენტი, ხაშურის რაიონში — 1003 ჰექტარზე, გეგმის 73,5 პროცენტი, ქარელის რაიონს თესვის გეგმა ამავე რიცხვისათვის შესრულებული ჰქონდა 74,8 პროცენტით, გორის რაიონს — 86 პროცენტით, კასპის რაიონს —91,2 პროცენტით..

გეგმების შესრულება

გურჯაანის მტს-მა სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლით მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა 278 პროცენტით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 1742 ჰექტარის ნაცვლად რბილ ხვნაზე გადაყვანით მოხნულია 4848 ჰექტარი.

საგაზაფხულო ხვნის გეგმა შესრულებულია 211,4 პროცენტით, კულტივაციისა — 223,5 პროცენტით, თესვისა — 163,3-ით, ამოძირკვისა — 408-ით, პლანტაჟისა — 208,5-ით და სხვ. ჯეჯილის ფარცხვა გეგმით სრულიად არ გვქონდა გათვალისწინებული, დავფარცხეთ 736 ჰექტარი. გასულ წელთან შედარებით საგრძნობლად შემცირებულია საწვავი მასალის ხარჯვა.

სატრაქტორო პარკი კარგ მდგომარეობაშია. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ამხ. ნატროშვილის, კობახიძისა და ვარამაშვილის სატრაქტორო ბრიგადები.

გურჯაანის მტს-ის დირექტორი **დავითაშვილი**

ქუთაისის მტს-მა 1941 წლის პირველი კვარტალის სატრაქტორო სამუშაოების გეგმა 179,5 პროცენტით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 1.186 ჰექტარის ნაცვლად რბილ ხვნაზე გადაყვანით მოხნულია 2.110 ჰექტარი, საგაზაფხულო ადრეული ხვნა ნაცვლად 838 ჰექტარისა ჩატარებულია 1.219 ჰექტარზე.

მტს-ის კოლექტივი ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში წულუკიძის და ზესტაფონის მტს-ებთან. საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევიან მუშკუდიანის და ჭუმბურიძის სატრაქტორო ბრიგადები.

ქუთაისის მტს-ის დირექტორი **ნემსიწვერიძე**

ტაჯიკური ხელოვნების დეკადა მოსკოვში

ტრაგედია „ოტელოს" წარმოდგენა ტაჯიკურ ენაზე

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ა. ჟდანოვი

ტაჯიკეთის ლახუტის სახელობის სახელმწიფო დრამის აკადემიურმა თეატრმა 18 აპრილს დასდგა შექსპირის ტრაგედია „ოტელო", რომელიც რამდენიმე წლის წინათ სთარგმნეს ტაჯიკურ ენაზე ორდენოსანმა პოეტმა ა. ლახუტიმ და ც. ბანუმ.

სპექტაკლი „ოტელო" აშკარად ადასტურებს ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის პირველი პროფესიული თეატრის მაღალ თეატრალურ კულტურას.

მაყურებლებში დიდი წარმატება მოიპოვა ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა მ. კასიმოვმა, რომელიც ოტელოს როლში გამოდიოდა. სხვა შემსრულებელთა შორის სპექტაკლში მონაწილეობას იღებდნენ ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები — ს. ტუიბაევა (დეზდემონა), ა. სულეიმანოვი (იაგო), მ. ხალილოვი (ბრაბანციო), ა. ბურხანოვი (კასიო), გ. ბაკაევა (ემილია).

დადგმა დიდი გემოვნებითაა გაფორმებული თეატრის მთავარი მხატვრის ე. გ. ჩემოდუროვის მიერ. საუცხოო დეკორაციები ბევრად უწყობენ ხელს რეჟისორის განაზრევის გახსნას და დადგმის საერთო წარმატებას.

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები **ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ა. ჟდანოვი**. (საქდესი).

ტრიფოლიატის დარგვის გეგმა შესრულებულია

ზუგდიდი (ტელეგრაფით). რაიონმა დაწესებულ ვადაზე შეასრულა ტრიფოლიატის დარგვის გეგმა. დარგულია 1.050.000 ძირი ტრიფოლიატის ნერგი.

აღებულია ვალდებულება გეგმის გადამეტებით დაირგოს 100.000 ძირი ტრიფოლიატის ნერგი.

საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანი **ჩაჩიბაია**
რაისაბჭოს აღმასკომი—**ფანთია**

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

აღებულ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ

14 აპრილს თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში ცნობა მოვიდა. ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის საქსოვი საამქროს „ბ" ცვლა წინასამაისო შეჯიბრებაში იწვევდა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის საქსოვი საამქროს „ბ" ცვლას. ქუთაისელები აპრილის გეგმის ორი დღით ადრე და 108 პროცენტით შესრულებას კისრულობდნენ.

თბილისელი მეაბრეშუმენი გამოეხმაურნენ ქუთაისელთა გამოწვევას. საქსოვი საამქროს (უფროსი — ა. მიქელაძე) მუშაკთა კოლექტივმა იკისრა აპრილის გეგმის 108 პროცენტით შესრულება, ქსოვილის ხარისხის გაუმჯობესება და შეჯიბრებაში გამოიწვია მოსამზადებელი საამქრო.

საქსოვი საამქრო გრაფიკის ზუსტად დაცვით აღებულ ვალდებულებას წარმატებით ანაღდებს — ყოველდღიურ გეგმას საგრძნობი გადაჭარბებით ასრულებს. სანიმუშოდ მუშაობს მეექვსე კომპლექტი, რომელსაც სტახანოველი ქვეოსტატი ამხ. ალ. კახიანი ხელმძღვანელობს.

ჩაებნენ რა წინასამაისო შეჯიბრებაში, ახალი საწარმოო ვალდებულებები აიღეს ფაბრიკის მრავალდაზგოსნებმა, ლენინის ორდენოსანმა ამხ. ე. ზაქარეიშვილმა და მ. მიტოიანმა. ისინი 6-6 დაზგაზე მუშაობენ და შესანიშნავ გამომუშავებას იძლევიან. 18 აპრილს ამხ. ზაქარეიშვილმა დავალება 118 პროცენტით შეასრულა.

აპრილის გეგმის 115 პროცენტით შესრულება იკისრეს აგრეთვე მოწინავე მქსოველებმა ამხ. ე. ნადეინამ, გ. მელიქიძემ, თ. პროცენკომ და სხვ. ისინი საქმით ასრულებენ ამ ვალდებულებებს.

წინასამაისო შეჯიბრება ფართოვდება

გორი („კომუნისტის" კორ.). რაიონის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრება გააჩაღეს. შეჯიბრებაში ჩაებნენ გორის რკინიგზის სადგურის, გორის საკონსერვო, სახერხი და საავეჯო ქარხნების მუშა - მოსამსახურენი, რომლებმაც იკისრეს ახალი საწარმოო ვალდებულებანი.

გორის საავეჯო ქარხანამ (დირექტორი — გ. შერმადინი) მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საწარმოო გეგმა 151,9 პროცენტით შეასრულა. მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ საავეჯო ქარხნის სტახანოველები ამხ. შ. ცერცვაძე, ნ. ბარნაბიშვილი, ი. გაბლიშვილი, ვ. აბრამიძე და ა. აპრესოვი.

წინასამაისო შეჯიბრება ფართოდ გაიშალა საკოლმეურნეო მინდვრებზე, სატრაქტორო და საკოლმეურნეო ბრიგადებსა და რგოლებს შორის. ამის შედეგად მოწინავე კოლმეურნეობებმა მოიპოვეს პირველი წარმატებები.

17 აპრილს სოფელ სვენეთის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — ს. ბადოშვილი) სამუშაოდ 313 კოლმეურნე და 7 გუთნეული გავიდა. 15 ჰექტარზე დათესეს შაქრის ჭარხალი, 25 ჰექტარზე დათესილია სიმინდი.

ამ დღეს სოფელ კარალეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — კვალიაშვილი) საგაზაფხულო სამუშაოებზე 450 კოლმეურნე გავიდა. ხვნათესვაზე ყოველდღე 17 გუთნეული მუშაობს. 295 ჰექტარზე დათესილია სიმინდი. კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებულ 35 ჰექტარზე დაამთავრა შაქრის ჭარხლის თესვა.

სოფელ ოთარშენის კოლმეურნეობაში კეთილსინდისიერად მუშაობს მეხრე ი. კაბულაშვილი; გუთნეული, სადაც ამხ. კაბულაშვილი მუშაობს, დღეში 0,6 ჰექტარს ხნავს. ოთარშენის კოლმეურნეობაში მოწინავეა გ. ზაზაძის და გ. ცუგოშვილის საკოლმეურნეო ბრიგადა.

ახალუბნის, მეჯვრისხევის, შავშო - ახალსოფლის, ხელთუბნის, ხურვალეთისა და ქახვრელის სასოფლო საბჭოებში შემავალმა კოლმეურნეობებმა გეგმით გათვალისწინებულ 290 ჰექტარზე დაამთავრეს შაქრის ჭარხლის თესვა. ახლა მასობრივად გააჩაღეს სიმინდის თესვა.

ს. ყურაშვილი

მბურღავ ზარანდიას წარმატება

აკარმარა, (საქდესი). 17 აპრილს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის მეშვიდე უბნის მბურღავმა ილია ზარანდიამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მეორე ცვლაში მუშაობის დროს იგი ჰბურღავდა სანგრევს და გასჭრა 7,1 მეტრი, რითაც ნორმა 458 პროცენტით შეასრულა. ამხ. ზარანდიამ ცვლაში გამოიმუშავა 85 მანეთი.

ეს წარმატება მან იმით მოიპოვა, რომ გულდასმით მოამზადა სამუშაო ადგილი. ამასთან იგი სისტემატურად ამაღლებდა თავის საწარმოო კვალიფიკაციას. ზარანდია მარტო მუშაობდა კარგად შეკეთებული საბურღავი ჩაქუჩით. სანგრევი მის მისვლამდე გულდასმით იყო გაწმენდილი ქვანახშირისა და სხვა ქანებისაგან, შეკუმშული ჰაერი მილებით მიყვანილი იყო სანგრევამდე, ხოლო შლანგები წინასწარ იყო შესწორებული და შემოწმებული.

მეტი ყურადღება ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მუშაობას

XVIII სრულიად - საკავშირო პარტკონფერენციის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების მიზნით, საქართველოს ჯანსახკომი დღეს ხსნის თავისი აქტივის თათბირს ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელების, სამკურნალო დაწესებულებათა ხელმძღვანელების, სოფლის ექიმებისა და სხვ. ფართო მონაწილეობით.

როგორც ორდენოსანი საქართველოს მთელ სახალხო მეურნეობაში, ისე ჯანმრთელობის დაცვაშიც მიღწეულია მნიშვნელოვანი წარმატებანი. საკმარისია აღინიშნოს თუნდაც ის, რომ ექიმთა კადრებით უზრუნველყოფის მხრივ საქართველოს პირველი ადგილი უჭირავს სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკებს შორის. 1921 წელთან შედარებით საავადმყოფო საწოლების რაოდენობა საქართველოში დიდად გაიზარდა. სასოფლო საექიმო უბნების რიცხვი 109-დან გაიზარდა 719-მდე. საბავშვო და ქალთა კონსულტაციები სრულებით არ იყო, ახლა კი 155 კონსულტაცია მუშაობს. გახსნილია 200 ახალი ამბულატორია და პოლიკლინიკა, აგრეთვე ტუბერკულოზის, ვენერიული და სამალარიო დისპანსერები — 213. 1941 წ. საბავშვო ბაგებში 10.227 ადგილი ითვლება, სეზონური ბაგები რომ აღარ ვიანგარიშოთ. საქართველოს სამკურნალო დაწესებულებებში მუშაობს 4.517 ექიმი, ნაცვლად 352-ისა 1921 წ.

საქართველოს მედიცინის მუშაკთა შორის ცოტანი როდი არიან მოწინავენი, ენტუზიასტები, რომელთა მუშაობა დიდად დაფასებულია პარტიისა და მთავრობის მიერ.

პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობა და ყურადღება ჯანმრთელობის დაცვის კადრებისადმი, მოითხოვს ჩვენგან, სამედიცინო შრომის მუშაკებისაგან, ძალღონის მაქსიმალურად დაძაბვას, რათა ჩვენი მუშაობით ღირსეულად გავამართლოთ ეს ნდობა.

წარმატებებთან ერთად ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობაში არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი, რომლებზეც უნდა გავამახვილოთ აქტივის ყურადღება.

საჭიროა შევჩერდეთ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობის ერთერთ უბანზე, სახელდობრ ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მუშაობაზე. ტუბერკულოზით ავადმყოფთა საწოლების რაოდენობა საქართველოში საკმაო არაა, მაშინ როდესაც თბილისს მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით ბევრად მეტი რაოდენობის საწოლები უნდა ჰქონდეს. ეს იციან ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა. ხუდადოვის ტყეში უკვე 3 წელია საავადმყოფო მზად არის, მაგრამ მისი გახსნა ვერ მოხერხდა იმის გამო, რომ დაუმთავრებელია წვრილმანი სამუშაოები. ამ საავადმყოფოს დიდი მნიშვნელობა ექნება თბილისისათვის, მაგრამ მისი გახსნა დღემდე ვერ დაბოლოვდა. საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ დღემდე არ არის არცერთი საავადმყოფო საწოლი ფილტვების ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვთათვის. ასეთი საავადმყოფოს არსებობას კი უდიდესი პროფილაქტიკური და სამკურნალო მნიშვნელობა აქვს.

რაიონული ცენტრების დაახლოებით ნახევარს, მათ შორის წითელწყაროს, ონს, ლაგოდეხს და სხვ. ტუბერკულოზის ექიმები არა ჰყავს. ტუბერკულოზის საწინააღმდეგო დახმარება სასოფლო საექიმო უბნებში ბევრგან ვერ არის დამაკმაყოფილებელი. ეს დახმარება იქ დღემდე არ არის მოწყობილი, ვინაიდან ტუბერკულოზის სპეციალისტ-ექიმთა ნახევარზე მეტი თავმოყრილია თბილისში. ჯერ კიდევ არ სრულდება სსრ კავშირის ჯანსახკომისა და საქართველოს სსრ ჯანსახკომის დადგენილება იმის შესახებ, რომ თბილისში არსებული ტუბდისპანსერის ბაზაზე შეიქმნას რესპუბლიკური დისპანსერი, რომელიც როგორც ტუბინსტიტუტის ფილიალი უშუალოდ შეუდგებოდა ქალაქებსა და სოფლებში ტუბდისპანსერთა ქსელის განვითარების საკითხებზე მუშაობას და მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობით დახმარებოდა ჯანსახკომს ჩამორჩენის აღმოფხვრაში.

აქტივი გამოსთქვამს აზრს სხვა აქტუალურ საკითხებზეც, ხოლო ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა გადაჭრით უნდა აღმოფხვრას არსებული ნაკლოვანებანი, რათა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მუშაობა რესპუბლიკაში ჯეროვან სიმაღლეზე იქნას აყვანილი.

ექ. ს. სტეპანოვი

თბილისის რკინიგზის ტუბდისპანსერის გამგე.

ქრონიკა

საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ ამხ. მ. ნ. ჯაჯანაშვილი მოხსნა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სახალხო კომისრის მოადგილის თანამდებობიდან სუსტი მუშაობისათვის. (საქდესი).

საბჭოთა კავშირ-იაპონიის პაქტი უცხოეთის პრესის გაშუქებით

ფართო ნაკადად მოედინება საზღვარგარეთის გამოხმაურება საბჭოთა კავშირ-იაპონიის ნეიტრალიტეტის პაქტზე, რომელიც ხელმოწერილ იქნა 13 აპრილს. გამოხმაურება იმდენია, რომ 15 აპრილს ლონდონელმა რადიომიმომხილველმა რობერტ ფრეიზერმა თავისი საერთაშორისო მიმოხილვა დაიწყო სიტყვებით: „მთელი მსოფლიო ამ უკანასკნელ ორ დღეს უნდება სსრ კავშირსა და იაპონიას შორის დადებული პაქტის განხილვას".

ამაში საკვირველი არაფერია. პაქტი და დეკლარაცია დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტებია, ისინი წარმოადგენენ წინგადადგმულ დიდ ნაბიჯს სსრ კავშირისა და იაპონიის ურთიერთდამოკიდებულების გაუმჯობესების გზაზე, ჰქმნიან მტკიცე საფუძველს ორივე სახელმწიფოს ახალი, მეგობრული ურთიერთობის განვითარებისათვის.

მთელი საბჭოთა ხალხი, მთელი საბჭოთა ქვეყანა იწონებენ იაპონიასთან ნეიტრალიტეტის პაქტის დადებას, ვინაიდან ამ პაქტში სამართლიანად ხედავენ ახალ დიდ წარმატებას სტალინური საგარეო პოლიტიკისას, რომელიც მუდამ და თანმიმდევრულად იბრძვის მშვიდობიანობისათვის, ომის გაფართოების წინააღმდეგ.

იაპონიის საზოგადოებრიობა და იაპონური პრესა პაქტის დადების ამბავს დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ. გაზეთი „მიაკო", მიესალმება რა საბჭოთა კავშირ-იაპონიის ნეიტრალიტეტის პაქტის დადებას, სწერს:

— პაქტით ახალი ეპოქა იწყება ორივე ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულებაში რუსეთის რევოლუციის შემდეგ. ამ პაქტით მყარდება ურთიერთგაგება ორ ქვეყანას შორის, რომელნიც თანაბრად შეხვდნენ მეტისმეტად რთულ და საფრთხილო საერთაშორისო ვითარებას. ჩვენ სულითა და გულით მივესალმებით ამ პაქტს. ამ პაქტის აზრი ის არის, რომ იგი ნათლად განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის პოზიციას მესამე სახელმწიფოთა ცდებისადმი — უთანხმოება ჩამოაგდონ იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვისურვოთ, რომ ამ პაქტის საფუძველზე მომავალში ორივე ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობა ვითარდებოდეს და რომ ეს ურთიერთობა მეგობრულ გრძნობებსა და ნდობას ეფუძნებოდეს.

საბჭოთა კავშირ-იაპონიის ნეიტრალიტეტის პაქტის დადების ამბავი მთელ მსოფლიოს მოედო, და ყოველი კუთხიდან მოდის გამოხმაურება ამ უდიდეს პოლიტიკურ მოვლენაზე. გერმანული გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი" სწერს:

— იაპონიისა და რუსეთის ურთიერთობა, რომელიც ნელა და თანდათან უმჯობესდებოდა, ახლა მტკიცე საფუძველს ეყრდნობა...

„ფრანკფურტერ ცაიტუნგი" სწერს, რომ იაპონია-საბჭოთა კავშირის პაქტი

— წარმოადგენს შემდგომ ძვირფას ფაქტორს მშვიდობიანობის განმტკიცების საქმეში.

იტალიური პრესა ფართოდ ეხმაურება პაქტს და აღნიშნავს მის დიდ მნიშვნელობას. „რესტო დელ კარლინო" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პაქტი ხელს შეუწყობს მშვიდობიანობის საქმეს.

„პოპოლო დი რომა" სწერს, რომ

— იაპონია-საბჭოთა კავშირის შეთანხმება უზრუნველჰყოფს იმას, რომ აღმოსავლეთმა ნაყოფიერი თანამშრომლობა გასწიოს.

საბჭოთა კავშირ-იაპონიის ნეიტრალიტეტის პაქტმა დიდი ინტერესი გამოიწვია თურქეთის მოსახლეობის ყველა ფენაში. თურქეთის საზოგადოებრივ წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირი კვლავ გადაჭრით მისდევს მშვიდობიანობის პოლიტიკას. მთელმა რიგმა თურქულმა გაზეთებმა მოწინავე სტატიები უძღვნეს საბჭოთა კავშირ-იაპონიის პაქტს. გაზეთი „ვაკიტი" აცხადებს, რომ პაქტი შეფასებულ უნდა იქნას, როგორც საბჭოთა კავშირის გარკვეული წარმატება. სსრ კავშირმა, — სწერს გაზეთი, — ამ პაქტით აიძულა ეცნოთ თავისი საზღვრები არა მარტო ევროპაში, არამედ აზიაშიც.

რუმინული გაზეთი „აქციუნია" საბჭოთა კავშირ-იაპონიის პაქტისადმი მიძღვნილ კომენტარებში სწერს:

— რუსეთმა და იაპონიამ ახლა დასდეს პაქტი, რამაც ნორმალური ურთიერთობა დაამყარა ორივე ქვეყანას შორის და, რაც, შესაძლოა, საფუძველიც კი გახდეს მომავალი მეგობრობისა, რომელსაც მთელი მსოფლიოსათვის უდიდესი შედეგები მოჰყვებოდა. ეს პაქტი გამორიცხავს ახალი ომის შესაძლებლობას შორეულ აღმოსავლეთში. საბჭოებმა წარმატებით გაატარეს თავიანთი ნეიტრალიტეტის პოლიტიკა აზიაშიც. მათ ერთსადაიმავე დროს მიაღწიეს წყნარი ოკეანის მხრიდან საზღვრების დამშვიდებას და თავისი პოზიციების განმტკიცებას მონღოლეთში.

უნგრული გაზეთი „მადიარ ნემზეტი" იაპონია-საბჭოთა კავშირის პაქტს უწოდებს „ღირსშესანიშნავ მოვლენას მსოფლიო პოლიტიკაში".

— შეიძლება ითქვას, — აცხადებს გაზეთი, — რომ პაქტს ნამდვილად შეუძლია შეზღუდოს ომის გავრცელების შესაძლებლობანი.

ბულგარული გაზეთი „ზარია" აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირ-იაპონიის პაქტი არის „ახალი მძლავრი იარაღი მშვიდობიანობისა არა მარტო შორეულ აღმოსავლეთში, არამედ საერთოდ მშვიდობიანობისა მთელ მსოფლიოში".

— სსრ კავშირი, — სწერს შემდეგ გაზეთი, — თავის მხრივ იძლეოდა და იძლევა იმის არაერთ დამამტკიცებელ საბუთს, რომ მას არა სურს ომის გაფართოება და, პირიქით, უნდა, რომ იგი მსოფლიო ომად არ გადაიქცეს და ყოველნაირად ცდილობს ჩააქროს მისი ალი საკუთარ საზღვრებთან. ყველა იმ პაქტის დადებისას, რომლებისთვისაც საბჭოთა კავშირს დღემდე ხელი მოუწერია და რომლებიც მზად არის მომავალშიც დასდოს, სსრ კავშირი ერთი აზრით ხელმძღვანელობს: უზრუნველჰყოს მშვიდობიანობა საბჭოთა და სხვა ხალხებისათვის და ხელი შეუშალოს ომის გაფართოებასა და გამწვავებას.

ნეიტრალიტეტის პაქტი, რომელიც ითვალისწინებს ვალდებულებას იქონიონ მეგობრული ურთიერთობა და ურთიერთი პატივისცემით მოეპყრან სსრ კავშირისა და იაპონიის ტერიტორიულ მთლიანობასა და ხელშეუხებლობას, პაქტი, რომელიც ზღუდავს ომის გაფართოების შესაძლებლობას, მშვიდობიანობის იარაღს წარმოადგენს. ასეთი სიცხადის წინააღმდეგ დავა ძნელია. მაგრამ სწორედ ეს სიცხადე არ მოეწონათ იმ საზღვარგარეთელ პოლიტიკურ წრეებს, რომელნიც ცდილობენ კი არ შეზღუდონ, არამედ გააფართოონ ომის ატმოსფერო და, რაც მთავარია, ჩაიბან ომის ორბიტში საბჭოთა კავშირი. ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია ინგლისური და ამერიკული პრესის ზოგიერთი ორგანოს კომენტარები.

ინგლისურ პრესას ერთგვარი კონფუზიც კი შეემთხვა. ერთი მხრივ ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო მიუთითებდა, რომ პაქტი ინგლისურ პრესაში მიაჩნიათ რუსეთის მიერ წარმოებული თავისი საკუთარი პოლიტიკის შემდგომ დადასტურებად და ორივე მხარის მიერ კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნების აუცილებლობის აღიარებად. გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი" სწერდა, რომ პაქტი „ბრძნული დიპლომატიური ნაბიჯია რუსეთის მხრივ", რომ „რუსეთმა გააუმჯობესა თავისი პოზიციები ევროპაში", რითაც გაზეთი აღიარებდა პაქტის დიდ მნიშვნელობას. მეორე მხრივ, რეიტერის სააგენტოს დიპლომატიური მიმომხილველი შეეცადა შეემცირებინა დადებული პაქტის მნიშვნელობა. იგი ამტკიცებდა, რომ

— საბჭოთა კავშირ-იაპონიის მეგობრობისა და ნეიტრალიტეტის ხელშეკრულება რამდენადმე ახალი სახის დიპლომატიური აქტია და მიღწეული შედეგები ერთობ მცირეა მოსკოვში მაცუოკას ორი ვიზიტისათვის... საერთოდ და მთლიანად არ შეიძლება ითქვას, რომ ამ ახალ ხელშეკრულებას სიტუაცია არსებითად შეეცვალოს...

ამერიკულ პრესაში სახელმწიფო დეპარტამენტისაგან გამომდინარე ოფიციალური განცხადებაც კი გამოქვეყნდა იმის შესახებ, რომ

— ამ პაქტის მნიშვნელობას რამდენადმე აზვიადებენ... პაქტი მხოლოდ აღბეჭდავს ქაღალდზე ამ ქვეყნებს შორის უკანასკნელ ხანს არსებულ ურთიერთდამოკიდებულებას.

მაგრამ საბჭოთა კავშირ-იაპონიის პაქტის მნიშვნელობის შემცირების ცდა კრახს განიცდის. ზოგიერთი ინგლისელი და ამერიკელი კომენტატორის ნერვები ვერ იტანენ; „ნიუ-იორკ ტაიმსი" აქვეყნებს ისტერიკულ სტატიას, რომელშიც აცხადებს, რომ

— იაპონიასთან დადებული პაქტი... სრულიად გაუგებარი მობრუნებაა. პაქტმა ლახვარი ჩასცა ყველა იმათ, ვისაც იმედი ჰქონდა, რომ საბჭოთა კავშირი ღერძისადმი მტრულ ქვეყნებს შეუერთდებოდა.

კომენტატორები უფრო გულახდილად იწყებენ ლაპარაკს. კომენტარების ნაკადი იზრდება. და ინგლისური და ამერიკული გაზეთები მოულოდნელ მზრუნველობას იჩენენ პაქტის მონაწილეთა ინტერესებისათვის, ჩაღდება დისკუსია თემაზე, თუ ვისთვის არის პაქტი უფრო ხელსაყრელი — სსრ კავშირისათვის თუ იაპონიისათვის.

ინგლისური და ამერიკული პრესის მთელი მსჯელობიდან უნებლიეთ ის დასკვნა გამოდის, რომ, დამოუკიდებლად იმისა, თუ რამდენად ხელსაყრელია პაქტი იაპონიისა და სსრ კავშირისათვის, მან დავთარი აურია ლონდონელ და ვაშინგტონელ პოლიტიკოსებს. სწორედ ამიტომ არის, რომ ამერიკული პრესის ზოგიერთი ორგანოს კომენტარებში ცუდად დაფარული გაღიზიანება გამოსჭვივის. პრესის კომენტარებიდან სავსებით ნათლად სჩანს, რომ ვაშინგტონში, როგორც ეტყობა, იმედს ამყარებდნენ საბჭოთა კავშირისა და იაპონიის ურთიერთობის მკვეთრად გაუარესებაზე. ამ მხრივ ყურადღების ღირსია ცნობა რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტისა, რომელიც ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირ-იაპონიის პაქტის დადებასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა გადასინჯავს თავის პოლიტიკას როგორც სსრ კავშირის მიმართ, ისე იაპონიის მიმართაც. თურმე, როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი სწერს, ამ უკანასკნელ ხანს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მთელი რიგი ზომები მიიღო იმ მიზნით, რომ უზრუნველეყო უფრო მეგობრული ურთიერთობა სსრ კავშირის მხრივ, „უმადურმა" საბჭოთა კავშირმა კი არ დააფასა მისდამი ასეთი დამოკიდებულება და იაპონიასთან დასდო პაქტი, რომელიც მიმართულია ომის გაფართოების წინააღმდეგ, ომში საბჭოთა კავშირის ჩაბმის წინააღმდეგ. განა ეს საწყენი არ არის!

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი კიდევ უფრო გულახდილად ააშკარავებს ამერიკის მმართველი წრეების გაღიზიანების მიზეზებს. იგი სწერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი წრე პაქტს აფასებს როგორც ამერიკის დიპლომატიის დამარცხებას. ამასთან იგი განმარტავს, რომ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების „მეგობრული ჟესტები" საბჭოთა კავშირის მიმართ საბჭოთა კავშირთან დაახლოების ნამდვილი მისწრაფებით იყო ნაკარნახევი.

— ამერიკის პოლიტიკა, — სწერს იგი, — უმთავრესად საშინაო ხასიათის მოსაზრებებით ტარდებოდა. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ხედავდა, რომ წარსულში საბჭოთა კავშირის სულ სხვადასხვა ელფერის ინგლისელი მეგობრები ჰგმობდნენ ინგლისის მთავრობის გულცივობას, რაც საბჭოთა კავშირის ცუდი საქციელით იყო გამოწვეული. ამერიკის მთავრობას არ უნდოდა, რომ მის წინააღმდეგ ამგვარი ბრალდებანი წამოეყენებინათ.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა კავშირის მიმართ „მეგობრულ ჟესტებს" მიზნად ჰქონდათ შეცდომაში შეეყვანათ ამერიკის საზოგადოებრივი აზრი. რაც შეეხება ეგრეთწოდებულ „სსრ კავშირის ცუდ საქციელს", საკმაოდ ცნობილია, რომ აქ ინგლისელი კომენტატორები იმას გულისხმობენ, რომ საბჭოთა კავშირს არა სურს სხვისი ინტერესებისათვის იომოს.

„დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" კორესპონდენტზე არანაკლებ გულახდილად ლაპარაკობენ გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის" ვაშინგტონელი კორესპონდენტები ოლსოპი და კინტნერი, რომელნიც ააშკარავებენ სსრ კავშირის მიმართ ვაშინგტონის „მეგობრული ჟესტების" საგარეო პოლიტიკურ სარჩულს.

— ამერიკის პოლიტიკას, — სწერენ ისინი, — იმედი ჰქონდა, რომ საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნების გზით თავიდან აიცილებდა იაპონიის თავდასხმას სინგაპურსა და ჰოლანდიის ინდოეთზე.

გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის" მიმომხილველი ვ. ლიპმანი ააშკარავებს იმ ზოგიერთი ამერიკელი პოლიტიკოსის ზრახვებს, რომლებსაც იმის იმედი ჰქონდათ, რომ „სხვისი ხელით ნარს მოგლეჯდნენ". ისინი მელანქოლიურად მსჯელობენ იმაზე, თუ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის რა ბრწყინვალე პერსპექტივები ჩაშალა საბჭოთა კავშირ-იაპონიის პაქტმა: საბჭოთა საჰაერო ძალებს, — ამბობს ის, — რომ შეეძლოთ დამუქრებოდნენ იაპონიას, ხოლო წითელ არმიას ციმბირში შეეძლო დამუქრებოდა მანჯოუ-გოსო.

ვ. ლიპმანის ამ მოულოდნელი გულახდილობის გამო, რომლითაც იგი ამხელს ამერიკის ბურჟუაზიის გარკვეული წრეების ზრახვებს, არ შეიძლება არ მოვიგონოთ რჩევა შჩედრინის მიერ გამოყვანილ ბებია ტატიანა იურის-ასულისა, რომელიც ამბობდა ხოლმე: — ენას კბილი დააჭირე, სანამ სიტყვას დასძრავდე.

ლიპმანს ბანს აძლევს ამერიკაში მყოფი ფრანგი ჟურნალისტი პერტინაქსი, რომელიც სწერს:

— საბჭოთა კავშირი იაპონიას აძლევს მოქმედების თავისუფლებას ჰოლანდიის ინდოეთში, ბირმაში, ტაიში, სინგაპურში და სხვ.

ხოლო „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის" ზემოთხსენებული კორესპონდენტები ოლსოპი და კინტნერი აცხადებენ:

— იაპონელები, ალბათ, უახლოეს დროში დაესხმიან თავს სინგაპურსა და ჰოლანდიის ინდოეთს. იაპონელებმა შეჰქმნეს ექვსი ახალი დივიზია და, ამრიგად, მათ შეუძლიათ სინგაპურს ორასი ათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი მიუსიონო.

აი, თურმე, საქმე რა ყოფილა! აი სად არის ბატონ ლიპმანისა და მისი პატრონების შეშფოთების ნამდვილი მიზეზები. კომენტატორებს ამ შემთხვევაში ენაზე კბილი არ დაუჭერიათ და მრავალი ისეთი რამ წამოაყრანტალეს, რაც ფარდას ხდის მათს ჭეშმარიტს ზრახვებსა და სურვილებს. ისინი უნებლიეთ ააშკარავებენ იმათს მტკივნეულ, მისაწვდომ ადგილებს, ვისაც არ მოსწონს საბჭოთა კავშირის სამშვიდობო პოლიტიკის წარმატებანი. ბ-ნ ვ. ლიპმანის პატრონები შიშობენ თავიანთი ინტერესებისათვის წყნარ ოკეანეში, სადაც მათ, როგორც ეტყობა, აქვთ სუსტი ადგილები და სურთ სსრ კავშირსა და იაპონიას შორის კონფლიქტების გაღვივების გზით ჩამოაშორონ იაპონიის ყურადღება ამ მისაწვდომ ადგილებს. მაგრამ, ვაი, რომ სსრ კავშირი მუდამ ერთგულია თავისი „ცუდი საქციელისა" — თანმიმდევრულად ატარებს სამშვიდობო პოლიტიკას, რომლის გამოხატულებაც არის ამერიკელი და ინგლისელი „კომენტატორებისათვის" ესოდენ არასასიამოვნო პაქტი სსრ კავშირ-იაპონიის ნეიტრალიტეტის შესახებ.

O

ასეთივე აღგზნებით, როგორითაც იხილავდნენ საკითხს, ვისთვის უფრო ხელსაყრელია ნეიტრალიტეტის პაქტი — სსრ კავშირისათვის თუ იაპონიისათვის, იხილავენ მთელი ამ დღეების განმავლობაში საკითხს, ნიშნავს თუ არა პაქტის დადება საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთობის გაუმჯობესებას ან გაუარესებას. ზოგი კომენტატორი ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირ-იაპონიის პაქტი კინაღამ მიმართულია გერმანიის წინააღმდეგ. სხვები კი, პირიქით, ირწმუნებიან, რომ ეს პაქტი ვითომ გერმანიის პირდაპირი ზემოქმედებით იქნა ხელმოწერილი.

არა გვგონია საჭირო იყოს იმის მტკიცება, რომ არცერთი ეს მოსაზრება იოტის ოდენა ჭეშმარიტებას არ შეიცავს.

არას დააშავებდა იმის ცოდნა, რომ სსრ კავშირ-იაპონიის პაქტის იდეას, ისე როგორც თვით პაქტს, თავისი საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ ათი წლის წინათ სსრ კავშირმა იაპონიას შესთავაზა თავდაუსხმელობის პაქტი, რომელიც სავსებით ანალოგიური იყო გერმანიასა და სსრ კავშირს შორის 1926 წელს დადებული ნეიტრალიტეტის პაქტისა და რომელიც ამის გამო არსებითად ნეიტრალიტეტის პაქტს წარმოადგენდა. როგორც ცნობილია, იაპონიამ მაშინ უარჰყო სსრ კავშირის წინადადება. ამის შემდეგ იაპონია-სსრ კავშირის პაქტის საკითხი აღარ დასმულა თვით 1940 წლის ივლისამდე, როცა იაპონიის მოსკოველმა ელჩმა ბ-ნმა ტოგომ თავისი მთავრობის სახელით შემოგვთავაზა ნეიტრალიტეტის პაქტი. საბჭოთა მთავრობამ პრინციპული თანხმობა განაცხადა, მაგრამ პაქტის დადების პირობების შესახებ მოლაპარაკებამ საქმე რამდენადმე დააყოვნა. 1940 წლის ოქტომბერში იაპონიის ახალმა მოსკოველმა ელჩმა ბ-ნმა ტატეკავამ საბჭოთა მთავრობას წინადადებით მიჰმართა დაედოთ თავდაუსხმელობის ისეთი პაქტი, რომელიც ანალოგიური იქნებოდა სსრ კავშირსა და გერმანიას შორის 1939 წელს დადებული თავდაუსხმელობის პაქტისა. საბჭოთა მთავრობამ უპასუხა, რომ იგი ამჯობინებს დასდოს ნეიტრალიტეტის ისეთი პაქტი, რომელიც ანალოგიურია საბჭოთა კავშირ-გერმანიის 1926 წლის ნეიტრალიტეტის პაქტისა. 1940 წლის ნოემბერში საბჭოთა მთავრობას წინადადებით მიჰმართეს გამხდარიყო სამთა ურთიერთდახმარების პაქტის მონაწილე და გადაექციათ სამთა პაქტი ოთხთა პაქტად. რადგან საბჭოთა მთავრობამ მაშინ შესაძლებლად არ მიიჩნია მიეღო ეს წინადადება, იაპონია-სსრ კავშირის პაქტის საკითხი კვლავ წამოიჭრა. 1941 წლის მარტში ბ-ნ მაცუოკას მოსკოვში ჩამოსვლამ მნიშვნელოვნად გააადვილა პაქტის საქმე, ხოლო 1941 წლის აპრილში, პაქტის დადების პირობათა განხილვაში ბ-ნ მაცუოკას მეტად აქტიური მონაწილეობით, დასასრულ, დადებულ იქნა ნეიტრალიტეტის პაქტი, რომელიც ბოლოს უღებს ორი ქვეყნის მტრულ ურთიერთობას და აადვილებს მშვიდობიანობის საქმეს შორეულ აღმოსავლეთში. ასეთია ფაქტები.

ეს ისტორიული ცნობა ააშკარავებს, თუ რამდენად სასაცილოა ყოველგვარი კომენტატორების განსაზღვრული მოსაზრებანი, რომ იაპონია-საბჭოთა კავშირის პაქტი ვითომ მიმართული იყო გერმანიის წინააღმდეგ, აგრეთვე მეორე მოსაზრება, ვითომ პაქტი დადებული იყოს გერმანიის ზემოქმედებით.

როგორც სჩანს, ლონდონისა და ვაშინგტონის გარკვეულ წრეებს საბჭოთა კავშირ-გერმანიის ურთიერთობის გამწვავების იმედი არანაკლებ ჰქონდათ, ვიდრე იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გამწვავებისა. ამ თვალსაზრისით დამახასიათებელია, რომ ამ დღეებში ინგლისურ და ამერიკულ პრესაში გამოქვეყნდა არაჩვეულებრივად მრავალი ჭორი სსრ კავშირისა და გერმანიის ურთიერთობის გაუარესების შესახებ.

ინგლისელი და ამერიკელი კომენტატორები უიმედოდ დაიბნენ, დაიბნენ იმიტომ, რომ მათ არაგზით არ შეუძლიათ შეითვისონ ერთი უბრალო ჭეშმარიტება. მხოლოდ გონს მოსვლის წუთში წვდებიან ისინი ამ ჭეშმარიტებას. მაგალითად, „ტაიმსი" ერთერთ თავის კომენტარში სწერს: „ახლა აშკარაა, რომ მოსკოვი თავის საკუთარ პოლიტიკას მისდევს".

დიაღ! დროა მიხვდნენ, რომ საბჭოთა კავშირი ატარებს თავის საკუთარ, დამოუკიდებელ პოლიტიკას, რომლისთვისაც უცხოა გარეშე გავლენა. ამ პოლიტიკას განსაზღვრავენ საბჭოთა ხალხის ინტერესები, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესები, მშვიდობიანობის ინტერესები.

„პრავდა", 19 აპრილი.

მითი ქრისტეს შესახებ

ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების თანახმად, ქრისტიანობის დამაარსებელი იყო იესო ქრისტე. ნამდვილად კი ქრისტე არასოდეს არა ყოფილა. ეს იქიდან სჩანს, რომ არ მოიპოვება რაიმე ჭეშმარიტი ცნობები მისი არსებობის შესახებ, არ მოიპოვება არავითარი სარწმუნო საბუთები მისი ცხოვრების შესახებ.

პირველ ქრისტიანებს ქრისტე უმთავრესად ისე სწამდათ, როგორც „ზეციერი მეუფე". უძველეს ქრისტიანულ ძეგლში „იოანეს გამოცხადებაში" (ანუ „აპოკალიპსში"), რომელმაც ჩვენამდე მოაღწია და რომელიც დაწერილია ებრაელი ავტორის მიერ ახალი წელთაღრიცხვის დაახლოებით 69 წელს, არცერთი სიტყვა არ არის იესოზე, როგორც ქვეყნად მცხოვრებ ადამიანზე. „აპოკალიპსის" მიხედვით, იესო იმგვარივე ღმერთია, როგორც ძველ ეგვიპტელთა მზის ღმერთი, ან ძველ ბერძენთა მეხისმტყორცნელი ღმერთი. მარტო ეგრეთწოდებულ „პავლეს ეპისტოლეებში", რომლებიც დაწერილია პირველი საუკუნის დამლევს, ქრისტეს მიკუთვნებული აქვს ამქვეყნიური თვისებები: იგი ვითომ ამ ქვეყნად იბადება, თავის თავს სწირავს ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდად, ჯვარს ეცმევა და მესამე დღეს მკვდრეთით აღსდგება. მაგრამ ამ „ეპისტოლეებში" აღნიშნული არ არის ქრისტეს დაბადებისა და სიკვდილის არც დრო და არც ადგილი.

მეორე საუკუნეში საბერძნეთის ლიტერატურულ ნაწარმოებებში, რომლებსაც სახარება (ე. ი. „კეთილი ამბები" ანუ „მახარობლობა") ეწოდება, მოხსენებულია „იესოს ცხოვრება". ეს სახარებანი სავსეა ზღაპრებით უაღრესად ფანტასტიკურ სასწაულებზე და განცვიფრებას იწვევენ ისტორიული შეუსაბამობით.

პირველი საუკუნის არაქრისტიანულ ლიტერატურაში კი — ებრაელი, ბერძენი და რომაელი მწერლების ნაწარმოებებში—ქრისტე სრულიად არ არის ნახსენები.

ამგვარად, პირველი საუკუნის ადამიანებმა არაფერი იცოდნენ ქრისტეს, როგორც ადამიანის არსებობის შესახებ. თვით სიტყვა ქრისტე ბერძნულია და იგი ნიშნავს „მესია - ცხებულს". მოძღვრებას „მესიის", ე. ი. მხსნელის შესახებ, რომელიც ქვეყნად მოვა და სამართლიან წესებს დაამყარებს, თვალსაჩინო ადგილი ეჭირა იუდეველთა რელიგიაში გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ქრისტიანობა წარმოიშობოდა. პირველმა ქრისტიანებმა ამ „მესიას" უწოდეს იესო, რაც ნიშნავს — „ღმერთი [illegible] „მაცხოვარი" — იესო ქრისტე.

ქრისტიანობის დამაარსებელი ქრისტე არა ყოფილა. ქრისტიანობა წარმოიშვა რომის იმპერიაში, რომელმაც დაიმონა ევროპის, აზიისა და აფრიკის მრავალი ქვეყანა. ამ იმპერიის მოსახლეობის ნახევარს მონები შეადგენდნენ. იმპერიის სხვადასხვა ადგილებში სდგებოდა მონებისა და თავისუფალთა (მაგრამ არა მდიდრების, არამედ ღარიბების) გაერთიანებანი, რომლებიც მონათმფლობელური წესების დარღვევაზე ოცნებობდნენ და შეჰქმნეს მითი, ე. ი. ზღაპარი ახალ ღმერთზე — ყველა „მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა" მაცხოვარზე— იესო ქრისტეზე.

მეორე საუკუნის ბოლოდან ქრისტიანთა რელიგიურ თემებში შესვლა დაიწყეს მონათმფლობელებმა, ხელში ჩაიგდეს მათი ხელმძღვანელობა და გამოაცხადეს, რომ ქრისტეს მეუფება „ამ ქვეყნიური არ არის", რომ მისაგებელი მოთმინებისათვის არა ამ ქვეყანად, არამედ „საიქიოს" იქნება. მითი-ზღაპარი ქრისტეს შესახებ ექსპლოატატორებმა გამოიყენეს თავისი მიზნებისათვის, როგორც მშრომელთა მოტყუებისა და ჩაგვრის იარაღი. მეოთხე საუკუნის დასაწყისში იმპერატორმა კონსტანტინემ ქრისტიანობა აღიარა და იგი სახელმწიფო რელიგია გახდა.

საუკუნე საუკუნეს მისდევდა. „საუკუნეთა მანძილზე მრავალჯერ და მრავალჯერ უცდიათ მშრომელთ გადაეგდოთ თავიანთი მხრებიდან მჩაგვრელები და გამხდარიყვნენ თავისი მდგომარეობის ბატონ-პატრონნი. მაგრამ ყოველთვის, დამარცხებულნი და გათელილნი, ისინი იძულებულნი ხდებოდნენ უკან დაეხიათ, გულში იმარხავდნენ რა შეურაცხყოფასა და დამცირებას, გაბოროტებასა და სასოწარკვეთილებას და მიაპყრობდნენ რა თვალს უცნობ ცას, სადაც იმედოვნებდნენ ეპოვნათ ხსნა... მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში მოახერხეს მშრომელთა ჩაგრულმა და დაბეჩავებულმა მასებმა გადაეგდოთ თავიანთი მხრებიდან მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობა და მის ადგილზე დაემყარებინათ მუშათა და გლეხთა ბატონობა". (ი. სტალინი).

ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ დაამტკიცა, რომ მშრომელებს შეუძლიათ თვითონ დაამყარონ ქვეყნად ახალი საზოგადოებრივი წყობილება, თვითონ განაგონ ყველა სიმდიდრე, რომელსაც ჰქმნიან, აგონ თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრება.

პროფ. ვ. ნიკოლსკი

ვ. ი. ლენინის ნაშრომის — „სასურსათო გადასახადის შესახებ" 20 წლისთავისათვის

1921 წლის აპრილში, ბოლშევიკური პარტიის X ყრილობის შემდეგ, ვ. ი. ლენინმა დაამთავრა თავისი განთქმული ნაშრომი „სასურსათო გადასახადის შესახებ". მასში ლენინმა უკიდურესი სიცხადით გვიჩვენა სასურსათო გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლის მნიშვნელობა და აზრი, დედაარსი ახალი ეკონომიური პოლიტიკისა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის იყო ნავარაუდევი. ქვეყნის აღორძინების გენიალურმა ლენინურმა გეგმამ ამ ნაშრომში ღრმა მეცნიერული ეკონომიური დასაბუთება მიიღო.

იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებით დაუძლურებული ქვეყანა უმაგალითო ნგრევის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამას უნდა დაემატოს ისეთი სტიქიური უბედურებანი, როგორიც არის მოუსავლობა, შიმშილობა, საკვების უქონლობა.

საჭირო იყო ომისაგან მიყენებული ჭრილობების რაც შეიძლება სწრაფად მოშუშება, დანგრეული მრეწველობის, ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის აღდგენა.

სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკის დროს შეუძლებელი იყო ეკონომიკის სოციალისტური საძირკვლის სწორი მშენებლობა. სასურსათო გაწერისა და ვაჭრობის აკრძალვის პირობებში გლეხებს არა ჰქონდათ მატერიალური წახალისება, პირადი დაინტერესება მეურნეობის აღმავლობითა და გაფართოებით.

სამოქალაქო ომის შემდეგ სამხედრო კომუნიზმის მთელი სისტემა, როგორც ლენინი აღნიშნავდა, შეეჯახა გლეხობის ინტერესებს.

დაღლილობის, დასუსტების, შიმშილის ნიადაგზე ხალხის მასებში, განსაკუთრებით გლეხობაში, ჩნდებოდა უკმაყოფილება, პასიურობა. თავს მაღლა სწევდა წვრილბურჟუაზიული, ანარქიული სტიქია. საბჭოთა ხელისუფლების მტრები — ესერები, მენშევიკები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები, რომლებსაც, ერთი მხრით, მხარს უჭერდა საერთაშორისო კაპიტალიზმი, ხოლო, მეორე მხრით, მხარს უჭერდნენ ბუხარინელი, ტროცკისტი პროვოკატორები, — ცდილობდნენ გამოეყენებინათ ეკონომიური სიძნელენი პროლეტარიატის დიქტატურის დასამხობად.

ამ პირობებში წამოიჭრა საკითხი პარტიის ახალი გეზის გამომუშავების შესახებ სამეურნეო მშენებლობის ყველა საკითხებზე. საჭირო იყო მკვეთრი შემობრუნება ქვეყნისა და მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. 1921 წლის გაზაფხულის ისტორიულ დღეებში ლენინის გენიალურმა გამჭრიახობამ, მისი რევოლუციური განზრახვების გაბედულობამ პარტია და ხალხი გამოიყვანა ქვეყნის სამეურნეო აღორძინებისა და სოციალიზმის ეკონომიური საძირკვლის შექმნის ფართო გზაზე. პარტიის X ყრილობამ ლენინის ინიციატივით გადასწყვიტა სასურსათო გაწერა შეეცვალა სასურსათო გადასახადით, გადასულიყო ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე.

ლენინი აღნიშნავდა, რომ საჭიროა უწინარეს ყოვლისა გლეხობის მდგომარეობის გადაჭრით და დაუყოვნებლივ გაუმჯობესება, მისი საწარმოო ძალების განვითარება.

რატომ იყო საჭირო, რომ პირველ რიგში ხელი მიგვეყო სოფლის მეურნეობისათვის?

„ძირითადი ამოცანა, რომელიც მაშინ ჩვენს წინაშე, პარტიის წინაშე იდგა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი 1926 წელს, — მდგომარეობდა იმაში, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში, გაშლილი საქონელბრუნვის პირობებში აგვეშენებინა ჩვენი სახალხო მეურნეობის სოციალისტური საძირკველი... ამ ძირითად ამოცანას ჩვენ ვუდგებოდით მაშინ, ...დაწყებული 1921 წლიდან, უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით. ამხ. ლენინი ამბობდა: ჩვენი ამოცანაა ავაშენოთ სახალხო მეურნეობის სოციალისტური საძირკველი; ასეთი საძირკველი რომ ავაშენოთ, ამისათვის საჭიროა გვქონდეს განვითარებული ინდუსტრია, განვითარებული მრეწველობა, ვინაიდან მრეწველობა არის სოციალიზმის, სოციალისტური მშენებლობის საფუძველი, დასაწყისი და ბოლო; მაგრამ იმისათვის, რომ განვავითაროთ ინდუსტრია, საჭიროა საქმე სოფლის მეურნეობიდან **დავიწყოთ**" (ი. სტალინი, „საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ").

ეკონომიური ნგრევის პირობებში მრეწველობა რომ განვევითარებინა, საჭირო იყო წინასწარ შეგვექმნა ინდუსტრიისათვის ზოგიერთი საბაზრო, სანედლეულო, სასურსათო წინაპირობები. სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა ძირითად ბაზას ჩვენი მრეწველობისათვის. სოფლის მეურნეობის საწარმოო ძალთა განვითარება შეუძლებელი იყო ეკონომიური პოლიტიკის სერიოზულ ცვლილებათა გარეშე, სასურსათო გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლისა და გლეხობისათვის ვაჭრობის გარკვეული თავისუფლების მინიჭების გარეშე. მხოლოდ სასურსათო გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლის საშუალებით შეიძლებოდა განმტკიცება მუშათა კავშირისა გლეხობასთან, განმტკიცება პროლეტარიატის დიქტატურისა და ქვეყნის წაყვანა სოციალიზმის მშენებლობის გზით. ლენინმა ასეც დაახასიათა სასურსათო გაწერის სასურსათო გადასახადით შეცვლის აზრი: „სამხედრო" კომუნიზმიდან **სწორი** სოციალისტური საძირკვლისაკენ" (ტომი XXVI, გვ. 311).

ბროშურაში ლენინმა მოგვცა სასურსათო გადასახადის დედაარსის კლასიკური განსაზღვრა: „სასურსათო გადასახადი არის ერთერთი ფორმა გადასვლისა უკიდურესი გაჭირვებით, განადგურებით და ომით გამოწვეული თავისებური „სამხედრო კომუნიზმიდან" წესიერ სოციალისტურ პროდუქტცვლაზე. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრით, არის ერთერთი ფორმა კომუნიზმზე გადასვლისა სოციალიზმიდან, რომლის თავისებურებაც გამოწვეულია მოსახლეობაში წვრილი გლეხობის სიჭარბით" (ტომი XXVI, გვ. 331-332). შემდეგში, როგორც აღნიშნავდა ლენინი, პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ საჭიროა გადასვლა ყიდვა-გაყიდვაზე, ვაჭრობისა და ფულის ტრიალის სახელმწიფოებრივ მოწესრიგებაზე.

ლენინს მრავალჯერ აღუნიშნავს ხაზგასმით, რომ თავისუფალ ვაჭრობაზე გადასვლის პირობებში გარდუვალია კაპიტალიზმის ზრდა, მაგრამ რომ ეს არ ემუქრება საბჭოთა სახელმწიფოს, თუ განვახორციელებთ სწორ პოლიტიკას პროლეტარიატის მბრძანებელ პოზიციებზე დამყარებით. ლენინი აღნიშნავდა, რომ კაპიტალიზმის ზრდა, რაც გარდუვალია განსაზღვრულ ეტაპზე, არის დროებითი მოვლენა და რომ საბჭოთა სახელმწიფო აუცილებლად შესძლებს მეურნეობის აღორძინებას, გამოიყენებს ყველა შესაძლებლობას ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის, გააჩაღებს ბრძოლას კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ და მიაღწევს კაპიტალიზმზე სოციალიზმის გამარჯვებას. ლენინის მთელი ნაშრომი „სასურსათო გადასახადის შესახებ" გამსჭვალულია სოციალიზმის მომავალი გამარჯვების ამ ღრმა რწმენით.

ახალი ეკონომიური პოლიტიკისა და სასურსათო გადასახადის პრობლემას ლენინი უშუალოდ უკავშირებდა სოციალიზმის აშენებას ჩვენს ქვეყანაში. ლენინი სთვლიდა, რომ სასურსათო გადასახადი, მუშებისა და გლეხების სავაჭრო კავშირი შეჰქმნიან პირობებს მძიმე ინდუსტრიის აყვავებისათვის. ახალი ეკონომიური პოლიტიკის მთელი გეგმა მიმართული იყო სოციალიზმის ამ ერთადერთი მატერიალური ბაზის შექმნისაკენ. „სოციალიზმი წარმოუდგენელია უახლესი მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებული მსხვილ-კაპიტალისტური ტექნიკის გარეშე. იგი წარმოუდგენელია გეგმაზომიერი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის გარეშე..." (ტომი XXVI, გვ. 325).

„სასურსათო გადასახადში" ლენინი აღნიშნავდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება უნდა აძლიერებდეს მსხვილ წარმოებას წვრილის წინააღმდეგ, მოწინავეს — ჩამორჩენილის წინააღმდეგ, სამანქანოს — ხელით წარმოების წინააღმდეგ, რომ საჭიროა გადიდება მსხვილი მრეწველობის პროდუქტების რაოდენობისა სახელმწიფოს ხელში, გეგმაზომიერი, მოწესრიგებული ეკონომიური ურთიერთობის გაძლიერება წინააღმდეგ წვრილბურჟუაზიული, ანარქიული ურთიერთობისა. ლენინი მოუწოდებდა კომუნისტებს ესწავლათ იმათგან, ვისაც აქვს ცოდნა, გადმოეღოთ მსხვილი მეურნეობის მოწესრიგების გამოცდილება დასავლეთ ევროპის ყველაზე მოწინავე კაპიტალიზმისაგან, განუწყვეტლივ წაეწიათ წინ ტექნიკური აზრი, მოეზიდნათ უცხოეთის მოწინავე ტექნიკა. ამასთან ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჩვენი სამეურნეო, სამრეწველო კავშირი უცხოეთის კაპიტალიზმთან „ბრძოლის სახეა, კლასობრივი ბრძოლის გაგრძელებაა სხვა ფორმით..." (იქვე, გვ. 335).

ლენინი სწერდა, რომ კაპიტალისტური ტექნიკა, მსხვილი წარმოების გამოცდილება ჩვენ უნდა გამოვიყენოთ როგორც შუა რგოლი წვრილ წარმოებასა და სოციალიზმს შორის, როგორც შრომის ნაყოფიერების გადიდების საშუალება; გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება და გავადიდოთ პროდუქტების რაოდენობა; დავზოგოთ ნედლეული, მთლიანად გამოვიყენოთ იგი და არ გავაჩეროთ უმოძრაოდ.

„გოელრო"-ს განთქმულ გეგმაში, რომელსაც მხურვალედ დაუჭირა მხარი ამხანაგმა სტალინმა, ლენინი ხედავდა რუსეთის საუკუნეობრივი ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევის, პატრიარქალობის, ველურობის, უკულტურობის ლიკვიდაციის გადამწყვეტ პირობას. „თუ ელექტროფიკაცია არა, — ვკითხულობთ ბროშურის „სასურსათო გადასახადის შესახებ" გეგმაში და კონსპექტებში,— **სულერთია** გარდუვალია კაპიტალიზმთან დაბრუნება". ელექტროფიკაციად ლენინი გულისხმობს არა მარტო ელექტროენერგიის, როგორც სინათლის წყაროს, გამოყენებას, არამედ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მსხვილი, უახლესი სამანქანო ტექნიკის დანერგვასაც.

უკვე ბროშურაში „სასურსათო გადასახადის შესახებ"—იმ პერიოდში, როდესაც ჩვენ ჯერ კიდევ არა გვქონდა განვითარებული სოციალისტური ინდუსტრია, ლენინი კოოპერაციას, მისი მასობრივი წარმატების შემთხვევაში, სთვლიდა კაპიტალისტური ურთიერთობის წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრ საშუალებად. ეს თეორიული დებულება შეიქმნა შემდეგში გამოსავალ წერტილად ბროშურისათვის „კოოპერაციის შესახებ", ლენინური კოოპერატიული გეგმისათვის. ამხანაგ სტალინის განსაზღვრით, ამიტომ არსებობს „განუწყვეტელი კავშირი „სასურსათო გადასახადსა" და ბროშურა „კოოპერაციის შესახებ"-ს შორის კოოპერაციის შეფასების საკითხში" („ლენინიზმის საკითხები", გვ. 195).

თავის კლასიკურ ნაშრომში „ლენინიზმის საკითხებისათვის" ამხანაგმა სტალინმა გააცამტვერა ანტილენინური ელემენტების ცდები დაემახინჯებინათ, გაეყალბებინათ „სასურსათო გადასახადში" მოცემული გენიალური ლენინური იდეები.

როგორც „სასურსათო გადასახადის" გამოსვლის შემდეგ განვლილმა 20-წლიანმა პერიოდმა გვიჩვენა, ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ ნამდვილად შეჰქმნა პირობები იმისათვის, რომ უფართოესად განვითარებულიყო სოციალისტური ინდუსტრია, რომელიც სოციალისტური საზოგადოების აშენების, სსრ კავშირის ტექნიკურ-ეკონომიური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისა და ჩვენი სამშობლოს მძლავრი თავდაცვის ბაზა გახდა.

O

თავის ნაშრომში „სასურსათო გადასახადის შესახებ" ლენინი შეეხო კომუნისტური პარტიის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს ამოცანებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

პარტორგანოების ანგარიშგება-არჩევნები პირველად პარტიულ ორგანიზაციებში

მტკიცედ დავიცვათ გრაფიკი, სწორად დავაყენოთ აღრიცხვა

(თბილისის ძაფსართავი ფაბრიკა)

კრება დანიშნულ დროზე დაიწყო. თბილისის ძაფსართავი ფაბრიკის პირველადი პარტორგანიზაციის განვლილი მუშაობის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა პარტბიუროს მდივნის მოადგილე ამხ. ე. ბუაძე.

მომხსენებელი ვრცლად შეეხო იმას, თუ როგორ იბრძოდა პირველადი პარტიული ორგანიზაცია ფაბრიკის დირექციასთან ერთად საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, როგორ გარდაჰქმნა მუშაობა ფაბრიკის კოლექტივმა საკ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციის სტალინურ გადაწყვეტილებათა საფუძველზე. ფაბრიკამ გასული სამეურნეო წლის საწარმოო გეგმა 105,9 პროცენტით შეასრულა, მაგრამ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საწარმოო დავალება განაღდებულია 99,3 პროცენტით, რაც გამოწვეულია ნედლი მასალის უყაირათოდ ხარჯვით, და რაც მთავარია, ფაბრიკის ხელმძღვანელი მუშაკების სუსტი მუშაობით. მიმდინარე წლის 1 აპრილიდან ფაბრიკა გადავიდა გრაფიკით მუშაობაზე, მაგრამ ხშირად მზა პროდუქციის გამოშვება ხდება არათანაზომიერად, დროდადრო კვეთებით. გარდა ამისა, ზოგიერთი ცვლის ოსტატები (ლებანიძე, აბაჯიანი, ბაბაიანი, ხომხაძე და აზორიანი) არღვევენ ყოველდღიურ გრაფიკს, რაც ყოვლად შეუწყნარებელია.

მოხსენების გარშემო დაიწყო კამათი. პირველად სიტყვით გამოვიდა კომუნისტი სტახანოველი ქალი ამხ. ანა ჩუბი. მან განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვაზე, მოიყვანა იმის მაგალითები, რომ ფაბრიკის საერთო საცხოვრებელში არ ეწევიან ეკონომიას ელექტროენერგიის ხარჯვაში. პარტიის წევრობის ზოგიერთი კანდიდატი, მაგალითად, ამხ. ტრეტიაკოვი, საერთო საცხოვრებელში ხშირად არღვევს დისციპლინას. ამის შესახებ თავის დროზე დაიწერა ფაბრიკის კედლის გაზეთში, მაგრამ ეს პარტბიუროს მსჯელობის საგანი არ გამხდარა.

ამხ. კ. დუჩენკომ ილაპარაკა შრომის დისციპლინის საკითხებზე. მართალია 26 ივნისის ბრძანებულების შემდეგ ფაბრიკაში მდგომარეობა ამ მხრივ მკვეთრად შეიცვალა, მაგრამ ჯერ კიდევ ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევის ცალკეულ ფაქტებს. ასე, მაგალითად, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 8 მუშა-მოსამსახურემ გააცდინა სამუშაო, 38 კი დაიგვიანა. ეს იმას მოწმობს, რომ ფაბრიკის პარტიულ, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულების განუხრელად განხორციელებისათვის.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ამხანაგები ნ. ნიქაბაძე, გ. ლებანიძე, გ. აბაჯიანი, ტ. სეროპიანი, ა. აზორიანი, ა. გალუშკოვა, მ. ბაზინოვი, ა. კაზარიანი, ვ. მურადიანი, შ. ფარუხინა, პ. პეტროსიანი და მ. ქარუმიძე.

როგორც ამ ამხანაგების სიტყვებიდან გამოირკვა, ფაბრიკაში სისუფთავე სათანადოდ არ იყო დაცული. მართალია, ამხ. მალენკოვის მოხსენების შემდეგ ფაბრიკის კოლექტივმა ამ მიმართულებით მიიღო სათანადო ზომები სისუფთავის დაცვისათვის, მაგრამ ზოგიერთ საამქროში ჯერ კიდევ არ იცავენ სისუფთავეს. მექანიკურ საამქროში მანქანებსა და ძვირფას დანადგარებს ისე არ უვლიან, როგორც საჭიროა. გარდა ამისა, ფაბრიკაში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ტექნიკურ სწავლებას, არ იწვევენ სტახანოველთა თათბირებს.

გამოირკვა ისიც, რომ ფაბრიკაში მოწყობილობის, ქონებისა და მასალების აღრიცხვა სწორად არ იყო დაყენებული. ეს საქმე არც ამჟამად არის მოგვარებული. საწყობის მუშაკებს სწორი წარმოდგენა არა აქვთ იმაზე, თუ რამდენია ფაბრიკაში მანქანა ან მანქანის ნაწილები. აღრიცხვის საქმისადმი უყურადღებობის შედეგია ისიც, რომ საწყობიდან გატანილი 500 ცალი ტომრიდან თვის ბოლოს დააკლდათ 200 ცალი. ცხადია, იმ საწარმოთა მუშაობა, სადაც აღრიცხვა სწორად არ არის დაყენებული, აღსავსეა მრავალი მოულოდნელობით. ამიტომ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ ფაბრიკის დირექციასთან ერთად უნდა იბრძოლოს მოწყობილობის, ყოველგვარი ქონებისა და მასალების აღრიცხვის სწორად დაყენებისათვის, ურომლისოდ შეუძლებელია საწარმოს რაციონალური მართვა.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა პარტკანდიდატებთან მუშაობა სუსტად შეაფასეს. გარდა ამისა, მათ აღნიშნეს, რომ პარტბიურო კომკავშირულ ორგანიზაციას არადამაკმაყოფილებლად ეხმარებოდა.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის სახელობის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. მ. იავრიანი.

არჩეულ იქნა პარტორგანიზაციის ბიურო 5 ამხანაგის შემადგენლობით.

პარტბიუროს მდივნად აირჩიეს ამხ. ა. ჩუბი, ხოლო მდივნის მოადგილეებად ამხ. ა. ფარუხინა და ამხ. ა. კაზარიანი.

გრ. ოდიშელი

დავეუფლოთ საწარმოს ეკონომიკას

(სტალინირის ხე-ტყის კომბინატი)

კომუნისტები დანიშნულ დროზე მოვიდნენ. დაიწყო საანგარიშო-საარჩევნო კრება. მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა პარტორგანიზაციის მდივანს ამხ. ს. თედეევს.

— კომბინატის პარტიული ორგანიზაცია, — აღნიშნა მომხსენებელმა, — საანგარიშო პერიოდში საკმაოდ გაიზარდა. თუ ერთი წლის წინათ ორგანიზაციაში ირიცხებოდა პარტიის 5 წევრი და 4 კანდიდატი, ამჟამად 14 წევრი და 4 კანდიდატია. პარტიაში მიღებულ იქნენ მოწინავე სტახანოველები: ი. გოგიძე, გ. ცხოვრებოვი, ვ. ვალიევი და სხვ.

პარტორგანიზაციაში ცუდად არ არის დაყენებული ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდა, მათ მიცემული აქვთ პარტიული დავალებანი, რომელთა შესრულება სისტემატურად მოწმდება. კომუნისტები საწარმოო დავალების შესრულების მაღალ მაჩვენებლებს იძლევიან. ასე სთქვა მომხსენებელმა, მაგრამ...

— გასულ წელს კომბინატმა საწარმოო - საფინანსო გეგმა ვერ შეასრულა. გარღვევა გრძელდება წელსაც. მიუხედავად ამისა, თუ შევადარებთ 1939 წლის მდგომარეობას, — ერთგვარი სიამაყით სთქვა მომხსენებელმა, — წინსვლა მაინც არის.

მაგრამ როდესაც დასჭირდა ციფრების მოყვანა, მომხსენებელი გაწითლდა: 1940 წელს კომბინატმა ხე-ტყის მასალის დამზადების გეგმა შეასრულა სულ... 32 პროცენტით (1939 წლის 25 პროცენტის ნაცვლად), სადურგლო მოწყობილობის — 58 პროცენტით. მთლიანად შესრულდა მხოლოდ ვენური სკამების დამზადების გეგმა.

აქედან ნათლად ჩანს, რომ საანგარიშო მოხსენება ამ ნაწილში ნაკლებად იყო კრიტიკული და თვითკრიტიკული.

რაც მოხსენებას აკლდა, ის კამათში გამოსულმა ამხანაგებმა შეავსეს.

— ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვიყენებთ ყველა შესაძლებლობას. ხშირად ხე-ტყის მასალა არაეკონომიურად იხარჯება. ავეჯის ფაბრიკაში დღემდე არ არის დამყარებული წესრიგი და სისუფთავე, ხე-ტყის მასალით კომბინატის მოუმარაგებლობაში დამნაშავეა დირექცია, რომელმაც დროზე არ დასდო სათანადო ხელშეკრულებები კოლმეურნეობებთან. დღემდე არ არის განხორციელებული მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის დადგენილება კომბინატთან ფართო მოხმარების საგნების საამქროს მოწყობის შესახებ,—აღნიშნეს თავიანთ სიტყვებში ამხ. ლ. ცხოვრებოვმა, პ. ტიბილოვმა, ვ. დოკუზოვმა, ი. გაგნიძემ, დ. ჩიბიროვმა და დ. გაგლოევმა.

კრებაზე მკვეთრად გააკრიტიკეს პარტორგანიზაციის მოუქნელობა თავდაცვითს მუშაობაში.

კამათი და არჩევნები მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარდა, რამაც ცხადჰყო, რომ XVIII პარტკონფერენციის შემდეგ კომუნისტებში საგრძნობლად გაიზარდა პასუხისმგებლობის გრძნობა წარმოების ნორმალური მუშაობისათვის. კრებაზე სიტყვით გამოვიდა აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. პეტროსიანი.

ვ. ტყემალაძე

არ ხდებოდა გადაწყვეტილებათა შესრულების სისტემატური შემოწმება

(ნავთლუღის სატვირთო სადგური)

კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩატარდა ნავთლუღის სატვირთო სადგურის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო - საარჩევნო კრება. სადგურის კომუნისტებმა მოურიდებლად გააკრიტიკეს პარტიული ორგანიზაციისა და მისი ბიუროს მუშაობა.

სადგურმა როგორც გასულ წელს, ისე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გადაჭარბებით შეასრულა ვაგონების დატვირთვისა და გადმოტვირთვის გეგმები, მაგრამ ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს: ირღვევა ვაგონების დატვირთვის გრაფიკი, ხშირია ვაგონების მოცდენები, აღმოფხვრილი არ არის საქონლის ქურდობა-დატაცება, ადგილი აქვს საბუთებისა და ტვირთების დაცილებისა და შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევებს (იანვარ-თებერვალში) და სხვ.

სადგურის პარტიული ორგანიზაცია თუმცა იხილავდა საწარმოო საკითხებს, მაგრამ საკმაოდ ვერ იბრძოდა აღნიშნულ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ. პარტბიუროს მდივანმა ამხ. ჯანეზაშვილმა და მოკამათეებმა სათანადოდ ვერ ახსნეს ნაკლოვანებათა მიზეზები. მომხსენებელმა ძალიან ცოტა სთქვა იმ ღონისძიებებზე, რომლებსაც მიმართავდა პარტიული ორგანიზაცია ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ზოგჯერ პარტიული ორგანიზაცია არავითარ ზომებს არ იღებდა შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

მტვირთავმა ამხ. დემეტრაშვილმა განაცხადა, რომ პარტიული ორგანიზაცია ხშირად ერთსადაიმავე საკითხს რამდენჯერმე იხილავდა, გამოჰქონდა დადგენილებები, მათ შესრულებას კი აღარ ამოწმებდა.

კრებაზე საკმაოდ ბევრი ითქვა პარტიულ დავალებათა შესრულების შესახებ. პარტიული დავალებები თუმცა ყველა პარტწევრკანდიდატს აქვს, მაგრამ ზოგი მათგანი მათ არ ასრულებს, რადგან პარტბიურო სუსტ კონტროლს უწევს პარტიულ დავალებათა შესრულებას. ბიუროს ზოგიერთი წევრიც (მაგ., გელაძე) გულგრილად ეკიდებოდა თავისი მოვალეობის შესრულებას.

მოკამათეებმა აღნიშნეს, რომ სადგურის პარტიული ორგანიზაცია საკმაო ყურადღებას არ აქცევდა კომუნისტთა იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას. მართალია, 28 კომუნისტი დამოუკიდებლად მუშაობს წიგნზე და 9 ამხანაგმა უკვე დაამთავრა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" შესწავლა, მაგრამ სადგურში არიან ამხანაგები, რომლებიც არ სწავლობენ ბოლშევიკური პარტიის გმირულ ისტორიას. ზოგს კი თავისი მცირემცოდნეობის გამო არ შეუძლია წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა. როგორც ამხ. ბაჯიევმა განაცხადა, ასეთმა ამხანაგებმა პარტორგანიზაციის წინაშე დასვეს საკითხი პოლიტწრის ჩამოყალიბების შესახებ, მაგრამ მათ რატომღაც არავინ დაეხმარა.

სადგურის მუშათა საერთო საცხოვრებლის კომენდანტმა ამხ. ვარდიაშვილმა უსაყვედურა პარტბიუროს, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა სადგურის მუშათა საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

კრებამ პარტბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა და დასახა ღონისძიებები ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

პარტბიუროს მდივნად არჩეულ იქნა ამხ. ჯანეზაშვილი.

ლ. ტურავი.

ილუსტრაცია თემაზე საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსიდან: „მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო". („საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი", გვ. 6). მხატვარ ი. თოიძის ნახატი.

ახალი შემოქმედებითი აღმავლობისაკენ

ის დღე, როდესაც გავიგე რომ დაჯილდოებული ვარ სტალინური პრემიით, ჩემი ცხოვრების ერთერთი უბედნიერესი დღე იყო. ეს მაღალი ჯილდო, რომელიც გასხივოსნებულია ჩვენი დიდი ბელადის სახელით, ბევრ რამეს გვავალებს. საბჭოთა სახვითი ხელოვნების წინაშე დგას დიდი ამოცანები — ღირსეულად ასახოს ჩვენი დიადი ეპოქა, უმაგალითო სიმაღლეზე აიყვანოს საბჭოთა ფერწერა... და მე ბედნიერი ვარ იმის შეგნებით, რომ მეც წილად მხვდა მონაწილეობა ამ ამოცანის გადაჭრაში. სტალინური პრემია ახალი სტიმული გახდა ჩემს შემოქმედებაში, მან ფრთები შემასხა. ვიმუშაო, ვიმუშაო და ვიმუშაო, რომ გავამართლო ეს მაღალი ჯილდო — აი ჩემი უმხურვალესი სურვილი.

ამჟამად მე ვმუშაობ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" თემების ილუსტრაციებზე. ერთერთ ილუსტრაციაზე გამოხატულია მომენტი, რომელიც ასურათებს შემდეგ დებულებას „მოკლე კურსის" I თავიდან: „მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო".

გამოხატულია ძველი ქართლის გზა იმ მომენტში, როდესაც მეფის ურიადნიკი აპატიმრებს საქართველოს ერთერთ შვილს, რომელმაც არ ისურვა დამორჩილებოდა თვითმპყრობელობას და ძალადობას. მის ფიგურას ცენტრალური ადგილი უჭირავს. მას ხელები ზურგს უკან აქვს გაკრული თოკით, მაგრამ იგი ამაყად, თავაწეული დგას. თვალებში უბრწყინავს სიძულვილი კლასობრივი მტრებისადმი და სიმამაცე. მის გვერდით მუხლმოდრეკილი დედამისია. მას ხელები გაუწვდია და თითქოს სურს ვედრებით იხსნას თავისი პირმშო. მის სახეზე აღბეჭდილია ღრმა მწუხარება, მაგრამ იოტის ოდენადაც არ სჩანს თავის დამცირება.

მეორე ილუსტრაცია გამოხატავს იმ მომენტს, როდესაც ლენინი ჯავშნიანი ავტომობილიდან წარმოსთქვამს სიტყვას რევოლუციით აბობოქრებულ პიტერში ჩამოსვლის დღეს. იმავე ჯავშნოსანზე გამოხატულია ამხანაგ სტალინის ფიგურა, რამაც ხაზი უნდა გაუსვას ჩვენი ეპოქის ორი უდიდესი ადამიანის საბრძოლო ერთობას.

ასეთი ილუსტრაციები, რომლებიც იტალიური ფანქრებით სრულდება, 60-70 იქნება. ნავარაუდევი მაქვს ეს მუშაობა დავამთავრო მომავალი წლის დამლევისათვის. ის გათვალისწინებულია „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" საილუსტრაციო გრაფიკის გამოცემისათვის.

იმავე თემაზე — ლენინის ჩამოსვლა პეტროგრადში — მე ვმუშაობ ზეთის საღებავებით. ამაში მნიშვნელოვნად დამეხმარა ვ. ი. ლენინის მუზეუმში გაწეული წინასწარი მუშაობა. იქ მე საშუალება მომეცა ახლოს გავცნობოდი ლენინის ფოტოპორტრეტებს და სიკვდილის შემდეგ გადაღებულ მის ნიღაბს.

ამავე დროს ვამთავრებ მუშაობას სხვა დიდ ტილოზე, რომელიც გამოხატავს დღესასწაულს საქართველოს სოფელში. ამ ტილოს ცენტრშია ქალის ფიგურა თეთრი ტანსაცმელით და მამაკაცის ფიგურა. ეს არის ცეკვა-ლეკური. მოცეკვავეთა გარშემო ნახევარწრედ სხედან ქართველი კოლმეურნენი და მათი სტუმრები მოძმე რესპუბლიკებიდან. მთაგორიანი პეიზაჟი წარმოადგენს ამ სურათის ფონს.

ლერმონტოვის დღეებისათვის ვამთავრებ ლერმონტოვის პორტრეტს ზეთის საღებავებითა და ფანქრით. ამ დიდი რუსი პოეტის სახელი განუყრელად დაკავშირებულია საქართველოსთან. დავამთავრე პოემა „მწირის" ილუსტრაცია, რომელიც გამოხატავს ავაზთან ბრძოლის მომენტს.

ამ ცოტა ხნის წინათ დავამთავრე მუშაობა ტილოზე „ოქტომბრის ამბავი". ამ ტილოზე გამოხატულია ურემი, რომელშიაც შებმულია ულელი კამეჩი. ურემი ცაცაბო დაღმართზე ჩამოდის. გლეხისა და გლეხი-ქალის ფიგურები წარმოდგენას იძლევიან მძიმე, მონურ შრომაზე, რევოლუციამდელი ქართული სოფლის სილატაკეზე. ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გადაჭრით მოუღო ამას ბოლო და გაუხსნა საქართველოს გზა ახალი ბედნიერი ცხოვრებისაკენ. ტილოზე გამოხატულია გლეხის ქალიშვილი. ის გახარებული, ატაცებული მირბის მამასთან, წითელი თავსაფარი მოუსხამს, ხელში კი ქაღალდი უჭირავს. მას მოაქვს სასიხარულო ამბავი ოქტომბრის შესახებ, კაპიტალისტური უღლიდან საქართველოს განთავისუფლების შესახებ.

ამასთან ერთად არც მიმდინარე მოვლენებისადმი მიძღვნილ მუშაობას ვტოვებ. ამასწინათ დავამთავრე ორი პლაკატი ჩვენი სახელოვანი სანაპირო დაცვის ჯარებისათვის. ორივე პლაკატი გასინჯა და მოიწონა ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ.

ასეთია ჩვენი შესანიშნავი საბჭოთა სამშობლოსადმი მიძღვნილი ჩემი შემოქმედებითი მუშაობის „დღევანდელი" და „ხვალინდელი" დღე.

ირ. თოიძე

[illegible]

პატარა ფელეტონის მაგიერ

იგი წავა და სხვა მოვა...

სწორედ ტურფა ბაღნარსა ჰგავს ის სოფელი, რომლის გულსაც „ამჭკნარებს" თავისი „მგზნებარე" ყურადღებით წითელწყაროს რაისაბჭოს ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება.

ეს სოფელი გახლავთ ძველი ანაგა. მდებარეობს იგი სიღნაღის ყოფილ რაიონში, განთქმულ საბჭოთა მეურნეობა „ხირსის" გვერდით და ახლა წითელწყაროს რაიონის ფარგლებში შედის. მშვენიერი სოფელია ძველი ანაგა, თავისი საკოლმეურნეო ვენახებით, თამბაქოების პლანტაციებითა და ბარაქიანი ნახნავ-ნათესებით.

მაგრამ ამ კარგ თვისებებთან ერთად ერთი ცუდი ზნე სჭირს ამ სოფელს: აქ მალარიაც იცის. ის, რომ ძველ ანაგაში მალარია იცის, მშვენივრად იცის წითელწყაროს ჯანდაცვამაც. მაგრამ არ იფიქროთ, თითქოს წითელწყაროს ჯანდაცვამ მეტი არაფერი იცოდეს. პირიქით, მან იცის მშვენიერი დასკვნების გამოტანაც.

მაგალითად, მან იცის, რომ მალარიასთან ბრძოლაა საჭირო. ხოლო ამ ბრძოლისათვის კი საჭიროა, ვთქვათ, სამალარიო პუნქტი.

და წითელწყაროს ჯანდაცვამ დააარსა მშვენიერი სამალარიო პუნქტი... ოღონდ არა ძველ ანაგაში, არამედ... წითელწყაროში.

მართალია, აღნიშნულმა ჯანდაცვამ იცის, რომ წითელწყაროში არასოდეს იგი თავისი ნებასურვილით არ ფიქრობს გუდა-ნაბადის აკვრას.

სამაგიეროდ, სადაც ჯერ არს იფიქრეს, რომ ძველ ანაგას ექიმი უნდა ჰყავდეს, იფიქრეს და დააკანონეს. ხოლო ამ კანონის განხორციელება წითელწყაროს ჯანდაცვის კომპეტენციად დასახეს.

საოცარი ოპერატიულობით ასრულებს ამ საქმეს წითელწყაროს ჯანდაცვის განყოფილება, რაც მის ხელმძღვანელს ამხ. შენგელიას უნდა დავუმადლოთ. განუწყვეტელი კონვეიერის წესით ჰგზავნის იგი ექიმებს ძველ ანაგაში. არ იფიქროთ, თითქოს მათ იქ დიდი ხნით აჩერებდეს შენგელია. რას ბრძანებთ, მაშინ ხომ დაიკარგება სიახლის ინტერესი? სოფელსაც „ძველი" ანაგა ჰქვიან. ექიმიც დაძველდეს?—არა, ეს როდი უწერია მას თავისი ოპერატიულობის კარაბადინში.

„ვილაპარაკოთ, ამხანაგებო, ფაქტების ენით",—ასეთი გამოთქმები უყვარს ხოლმე ამხ. შენგელიას. ამ ფაქტების ენით რომ ვთქვათ, ძველ ანაგაში ასეთი ფაქტები გვქონდა თუნდაც გასულ წელს:

ძველ ანაგას ჰყავდა ექიმი პატარქლიშვილი, იგი გადაიყვანა 1940 წლის იანვარში და სოფელი მთელ თვეს უექიმოდ დასტოვა. თებერვალში სხვა ექიმი მოაჩინეს ძველ ანაგას. აგვისტოში—ისიც გადაიყვანეს და კვლავ სამდღიანი ანტრაქტი მოაწყეს. სექტემბერში მოავლინეს ექიმი ტრაპაიძე. ერთი თვის შემდეგ ის კვლავ გადაიყვანეს და, რა თქმა უნდა, კვლავ ერთ თვეს უექიმოდ დასტოვეს ძველი ანაგა. შემდეგ აქ დანიშნეს ექიმი ონაშვილი. ისიც შეცვალეს ექიმ აბელიშვილით. ეს უკანასკნელი კვლავ — პატარქლიშვილით, რომელიც, რა თქმა უნდა, ერთი თვის შემდეგ ისევ უკან წაიყვანეს და, რა თქმა უნდა, კვლავ უექიმოდ დასტოვეს სოფელი.

და ასე ბრუნავს წითელწყაროს ჯანდაცვის კონვეიერი.

მართალია, ეს ბრუნვა არღვევს ზემდგომი ორგანოების დადგენილებას იმის შესახებ, რომ სოფლიდან ექიმის გადაყვანა არ შეიძლება, ვიდრე მაგიერი არ დაინიშნება, მაგრამ სამაგიეროდ ანხორციელებს რუსთაველის სიტყვებს: „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა".

მაგრამ ხუმრობა იქით იყოს. ჩვენ ახლა სრულებითაც არა გვაქვს ისეთი მდგომარეობა, რომ დასაშვებად მივიჩნიოთ საკოლმეურნეო სოფლის ამგვარი უგულებელყოფა. ჩვენ გვყავს ექიმების ახალგაზრდა კადრები. მათი განაწილება და გარკვეულ პუნქტებში სტაბილურ სამუშაოზე გაგზავნა მხოლოდ გონიერ ოპერატიულობას მოითხოვს, თვით წითელწყაროს ჯანდაცვის განყოფილების მესვეურთაგანაც. წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ შეიძლება მათ მიმართაც იქნას გამოყენებული რუსთაველის იგივე აფორიზმი?

ზვიადა მეღვარიძე

რომლებსაც ამჟამადაც უდიდესი აქტუალური მნიშვნელობა აქვთ.

„სასურსათო გადასახადში" ლენინი გადაჭრით აშკარავებს ისეთ ბოროტებას, როგორიც არის ბიუროკრატიზმი, ხელმძღვანელობის კანცელარული მეთოდები. იგი ახდენს მასების აზრის, ნებისყოფისა და ენერგიის მობილიზაციას ამ ბოროტებასთან საბრძოლველად. ბიუროკრატიზმთან წარმატებით ბრძოლას ლენინი პირდაპირ უკავშირებს მეურნეობის უღრესი მზრუნველობით განვითარებას, შრომის ნაყოფიერების გაზრდას. აქვე ლენინი გამოსთქვამს მეტისმეტად საინტერესო აზრებს, რომლებსაც დღემდისაც არ დაუკარგავთ თავიანთი სიახლე და სიმახვილე: ვზარდოთ ახალი, ახალგაზრდა კომუნისტური ძალები, სისტემატურად წავწიოთ ისინი ქვემოდან ზევითკენ; ადგილებზე, ცალკეულ რაიონებში სანიმუშოდ დავაყენოთ მთელი სამეურნეო მუშაობა. ასეთი ზომა სახელმწიფოს უდიდეს სარგებლობას მოუტანს. „ვინაიდან, — აღნიშნავდა ლენინი — სანიმუშოდ საქმის დაყენება გადაიქცევა მუშაკთა სანერგედ და მისაბაძ მაგალითად, რომლის გადაღებაც მერე შედარებით არც ისე ძნელი იქნება; ჩვენ კი შევძლებთ ცენტრიდან დახმარება გავუწიოთ იმას, რომ სანიმუშო მაგალითის „გადაღება" ხდებოდეს ყველგან ფართოდ და სავალდებული იყოს" (ტომი XXVI, გვ. 344).

ძნელი არ არის იმის გაგება, თუ დღესაც რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ლენინურ მითითებას. ჩვენში ცოტა როდი არიან ჩამორჩენილი ქარხნები, ფაბრიკები, მაღაროები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები. მათი წინწაწევისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ზრუნვას მუშაობის მოწინავე სანიმუშო გამოცდილებისა და გამოცდილების გადატანაზე.

ბროშურაში „სასურსათო გადასახადის" შესახებ, დაყენებულია საერთო - სახალხო, სახელმწიფო აღრიცხვისა და კონტროლის ამოცანა, მთელი სიმკვეთრით ხაზგასმულია შესრულების შემოწმების, სახელმწიფო კონტროლის აუცილებლობა. ლენინი წინადადებას იძლევა გავაძლიეროთ კანონები სპეკულანტების, საერთო - სახალხო დოვლათის დამტაცებლების წინააღმდეგ, „გამოვაცხადოთ დასასჯელად (და ვდევნოთ წინანდელთან შედარებით ფაქტიურად სამჯერ სისასტიკით) ყოველგვარი **მტაცებლობა** და ყოველგვარი **თავის არიდება... სახელმწიფო კონტროლისა, ზედამხედველობისა და აღრიცხვისაგან**" (გვ. 344). ვ. ი. ლენინის ეს დირექტივა დღემდისაც წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელ პრინციპს თაღლითების, დამტაცებლების წინააღმდეგ, ხალხის ხარჯზე „გულუხვ სამეურნეო მუშაკთა" ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

○

უდიდესი თეორიული მნიშვნელობა აქვს რუსეთის სოციალურეკონომიურ წყობათა ლენინურ ანალიზს, რომელიც მოცემულია „სასურსათო გადასახადში". ბოლშევიკების წინაშე იდგა ამოცანა აეშენებინათ სოციალისტური საზოგადოება ისეთ ქვეყანაში, სადაც ბევრ ადგილას გამეფებული იყო „პატრიარქალობა, ნახევრადველურობა და ნამდვილი ველურობაც კი" (ტ. XXVI, გვ. 338). ქვეყნის სამეურნეო აღორძინებას მეტისმეტად აძნელებდა ქვეყნის საერთო ჩამორჩენილობა, მთელი მეურნეობის მრავალწყობიანობა. ლენინმა გამოარკვია, რომ მაშინ რუსეთში იყო ხუთი სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობა:

1. **პატრიარქალური მეურნეობა**, მნიშვნელოვნად ნატურალური, რომელიც თითქმის არავითარ ვაჭრობას არ აწარმოებდა.

2. **წვრილი სასაქონლო წარმოება**, რომელიც პროდუქტებს ბაზარზე ასაღებს. ამას ეკუთვნის უმრავლესობა იმ გლეხებისა, რომლებიც პურს ჰყიდდნენ, და ხელოსნები.

3. **კერძო - სამეურნეო კაპიტალიზმი**, რომელმაც გამოცოცხლება იწყო ნეპის დასაწყისში.

4. **სახელმწიფო კაპიტალიზმი** (მაგალითად კონცესიები, რომლებიც რამდენადმე მნიშვნელოვნად არ განვითარებულან).

5. **სოციალიზმი.** ამას ეკუთვნის სოციალისტური სახელმწიფო მრეწველობა, რომელიც ჯერ კიდევ სუსტი იყო, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები, რომლებიც მაშინ უმნიშვნელო როლს თამაშობდნენ, სახელმწიფო ვაჭრობა და კოოპერაცია, რომლებიც მაშინ აგრეთვე სუსტნი იყვნენ.

ურთიერთის უაღრესად საწინააღმდეგო ეკონომიური მოვლენების, ჩამორჩენილობის, პატრიარქალობის აი ამ რთულ ვითარებაში საჭირო იყო მიგვეღწია სოციალისტური წყობილების გამარჯვებისათვის. საჭირო იყო რთული, ღრმად მოფიქრებული სისტემა სახელმწიფო ეკონომიური ღონისძიებებისა, საჭირო იყო უდიდესი გამბედაობა და სიმტკიცე, რომ ამ პირობებში, მომაკვდავი კლასების გააფთრებული წინააღმდეგობის დროს, მიგვეღწია სოციალიზმის აშენებისათვის.

ამოცანა მეტისმეტად ძნელი იყო. მაგრამ იგი ძლევამოსილად იქნა გადაჭრილი ნეპის გენიალური ლენინური გეგმის მეოხებით, იმის მეოხებით, რომ საბჭოთა ხომალდის საჭე დიდი ლენინის გარდაცვალების შემდეგ გადავიდა ლენინის საქმის ერთგული განმგრძობის—ამხანაგ სტალინის ხელში.

ჩვენმა საყვარელმა მასწავლებელმა დიდმა სტალინმა ქვეყანა წაიყვანა ლენინური გზით, მიაღწია ლენინის მიერ „სასურსათო გადასახადში" დასახული მსოფლიო - ისტორიული ამოცანების ძლევამოსილად გადაჭრას.

სტალინის გენიალური მოძღვრება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ გადაიქცა სოციალიზმისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის პროგრამად. სტალინური ხუთწლედების მანძილზე სსრ კავშირი მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადაიქცა. სოციალისტური საზოგადოება ძირითადად აშენებულია. ამით ლიკვიდირებულია ჩვენი ეკონომიკის მრავალწყობიანობა. ლიკვიდირებული არიან კაპიტალისტური კლასები, მოსპობილია კაპიტალიზმის გაჩენის ყველა შესაძლებლობა, სოციალისტური წყობა განუყოფლად ბატონობს ჩვენს ეკონომიკაში.

ლენინ-სტალინის პარტია გულს არ იმშვიდებს მიღწეულით. რთული საერთაშორისო ვითარება გვაიძულებს გაძლიერებული ტემპებით ვწიოთ წინ ტექნიკა, განვამტკიცოთ სოციალიზმის ქვეყნის თავდაცვითი და ინდუსტრიული ძლიერება. ჩვენ მივდივართ წინ სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების აშენების გზით.

ოცი წლის წინათ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი აღნიშნავდა, რომ „ახლა ჩვენს მთავარ ზეგავლენას საერთაშორისო რევოლუციაზე ვახდენთ ჩვენი სამეურნეო პოლიტიკით"-ო (ტ. XXVI, გვ. 410).

რა ძლევამოსილი ძალით ჟღერს ეს სიტყვები სსრ კავშირის სამეურნეო და სამხედრო ძლიერების აყვავების ჩვენს ისტორიულ დღეებში! სოციალიზმის დიადი ქვეყნის საერთაშორისო როლი იზრდება და მტკიცდება მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები იმარჯვებენ.

ლ. იაკოვლევი

ინგლის-გერმანიის ომი

ლონდონი, 18 აპრილი (საკ-დესი). რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, 17 აპრილს, ღამით, ინგლისის სამხრეთ სანაპიროს ერთერთ ქალაქზე გერმანიის ავიაციის თავდასხმის დროს ჩამოყრილი იქნა უამრავი ცეცხლგამჩენი და ფუგასური ყუმბარა. თავდასხმა თითქმის მთელ ღამეს გაგრძელდა. მაგრამ ბომბარდირებას დიდი ზარალი არ გამოუწვევია. მსხვერპლი მცირეა. ინგლისის სხვა რაიონებზე მოწყობილ თავდასხმებსაც არსებითი ზარალი არ გამოუწვევია.

ავიაციის სამინისტროს საინფორმაციო განყოფილებამ გამოაქვეყნა ბრემენზე (გერმანია) ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების 16 აპრილის უკანასკნელი თავდასხმის ზოგიერთი დაწვრილებითი ცნობები. ცნობაში ნათქვამია, რომ ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს იმ გემთსაშენებს, რომლებსაც ომამდე „ბრემენის" ტიპის ოკეანის დიდი გემების ასაშენებლად იყენებდნენ. ინგლისის ყუმბარმშენი ავიაციის სხვა ესკადრილიები თავს დაესხნენ ბრემენის სამრეწველო საწარმოებს, რომლებიც მდინარე ვეზერის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობენ. ქალაქზე თავდასხმამ 5 საათზე მეტ ხანს გასტანა. გემთსაშენებსა და სამრეწველო საწარმოებში დიდი ხანძარი გაჩნდა.

17 აპრილს, ღამით, ინგლისის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ბერლინს.

ბერლინი, 18 აპრილი (საკ-დესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, წუხელ გერმანიის თვითმფრინავთა დიდი შენაერთები თავს დაესხნენ პორტსმუტს. ბომბარდირების შედეგად ბევრგან ხანძარი გაჩნდა.

გუშინ გერმანიის თვითმფრინავები წარმატებით დაესხნენ თავს ჩრდილოეთ შოტლანდიის ზოგიერთი პუნქტის სამრეწველო და სანავსადგურო ნაგებობებს.

17 აპრილს, ღამით, ინგლისის ავიაციის მცირე ძალები თავს დაესხნენ ჩრდილოეთ გერმანიას. ზოგიერთ პუნქტში ჩამოჰყარეს ფუგასური და ცეცხლგამჩენი ყუმბარები, მაგრამ მათ დიდი ზარალი არ გამოუწვევიათ. ინგლისის ზოგიერთმა თვითმფრინავებმა ბერლინს მიაღწია და საზენიტო არტილერიის გადამღობი ცეცხლი გაარღვია. ბომბარდირების შედეგად ბერლინის საცხოვრებელ უბნებში ბევრგან ხანძარი გაჩნდა. ამ თავდასხმის დროს ინგლისის ავიაციამ 5 თვითმფრინავი დაჰკარგა.

კოპენჰაგენი, 18 აპრილი (საკდესი). დანიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ 14 აპრილს, ღამით ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარა დააყარეს იუტლანდიის მრავალ პუნქტს (დანია).

ლონდონი, 18 აპრილი (საკდესი). ავიაციის სამინისტრო იუწყება, რომ „ბლენჰეიმის" ტიპის ყუმბარმშენთა 3 რაზმი ავიაგამანადგურებელთა რამდენიმე ესკადრილიის თანხლებით მტრისათვის მოულოდნელად დაესხა თავს შერბურგს. გერმანიის არცერთ ავიაგამანადგურებელს ბრძოლა არ გაუმართავს. ქალაქის რაიონში მზიანი ამინდი იყო, რაც ხელს უწყობდა ბომბარდირების სიზუსტეს.

იმავე დღეს თავს დავესხით რამდენიმე სავაჭრო ხომალდს — ერთი მათგანი დაზიანებულია, და, შესაძლოა, ჩაიძირა, ხოლო მეორე —ნავსადგურში ავაფეთქეთ.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, 17 აპრილს, ღამით, ინგლისის ავიაცია მე-39-ჯერ დაესხა თავს ბერლინს. შინაგან საქმეთა და შინაგანი უშიშროების მინისტრ ჰერბერტ მორისონის განცხადებით, ამ თავდასხმის დროს პირველად გამოიყენეს უაღრესად მძლავრი ყუმბარები, რითაც ამ ცოტა ხნის წინათ შეაიარაღეს ინგლისის ავიაცია. ყუმბარები ქალაქის ცენტრში გასკდა. ეს თავდასხმა წინანდელთან შედარებით ყველაზე უფრო ინტენსიური თავდასხმა იყო გერმანიის დედაქალაქზე. ბევრგან გაჩნდა ხანძარი და მოხდა აფეთქება. ბომბარდირებამ მნიშვნელოვანი ზარალი გამოიწვია. გარდა ამისა, ყუმბარა დავუშინეთ სხვადასხვა ობიექტებს ჰოლანდიაში, კერძოდ, როტერდამში; ბომბარდირებულია აგრეთვე კელნი და ზოგიერთი სხვა პუნქტი ჩრდილოეთ-დასავლეთ გერმანიაში. ამ ოპერაციიდან არ დაბრუნებულა ინგლისის 8 თვითმფრინავი.

ამერიკის დახმარება ინგლისს

ნიუ-იორკი, 18 აპრილი (საკ-დესი). ამერიკის პრესის გადმოცემით, რუზველტს განზრახვა აქვს ახალი გადამწყვეტი ღონისძიებანი მიიღოს ინგლისის დასახმარებლად, რათა შეანელოს ინგლისის მარცხი ბალკანეთში. თეთრი სახლის წრეებში გამეფებული ატმოსფერო მოწმობს, რომ მზადდება ახალი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. პრეზიდენტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ინგლისში სამხარი მასალების მიტანის უშიშროების უზრუნველყოფის საკითხს. საქმესთან გაცნობილ წრეებში აცხადებენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა იხილავს სხვადასხვა წინადადებებს სავაჭრო ნაოსნობის საჰაერო და სამხედრო-საზღვაო დაცვის მეთოდების შესახებ.

გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი" აცხადებს, რომ მარცხმა, რომელიც ინგლისელებმა განიცადეს ბალკანეთში, ამერიკის შეერთებული შტატები აიძულა დააჩქაროს საჭურვლის წარმოება ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვისათვის.

გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" აზრით, თუ ამერიკის შეერთებული შტატები დაეხმარებიან ინგლისს და მოაგებინებენ „ატლანტის ოკეანისათვის ბრძოლას", მაშინ ის მიღწევები, რომლებიც გერმანიამ მოიპოვა ბალკანეთსა და აფრიკაში, თავიანთ მნიშვნელობას დაჰკარგავენ.

ა. შ. შტატების საავტომობილო მრეწველობის გადაყვანა სამხედრო ნარმოებაზე

ვაშინგტონი, 18 აპრილი (საკდესი). ნაციონალური თავდაცვის კომიტეტის წევრმა ნუდსენმა განაცხადა, რომ საავტომობილო დარგის მრეწველები დასთანხმდნენ 1 აგვისტოდან 20 პროცენტით შეამცირონ ავტომობილის ახალი … კვალიფიციურ მუშათა ნაწილი, რომელიც ამჟამად საავტომობილო მრეწველობაში მუშაობს, შეიძლება გადაყვანილ იქნას სამხედრო ქარხნებში. როგორც ფიქრობენ, მრეწველთა გადაწყვეტილება გამოიწვევს ავტომობილე…

ომი ბალკანეთში

ათენი, 18 აპრილი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ დასავლეთ მაკედონიის ფრონტზე მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. ალბანეთის ფრონტზე საბერძნეთის ჯარმა რამდენადმე დაიხია ორგანიზებულად. კლისურა და ერსეკე ევაკუირებულია.

გუშინ გერმანიის ავიაციამ ყუმბარა დაუშინა ევბეოსის სანაპიროს. მსხვერპლი არ არის. ჩამოგდებულია მტრის 2 თვითმფრინავი.

ნიუ-იორკი, 18 აპრილი (საკდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კოზანის პლატოს რაიონში გააფთრებული ბრძოლაა. გერმანელებმა მდინარე ვისტრიცა გადალახეს და ცდილობენ სამხრეთისაკენ გაიჭრან.

რომი, 18 აპრილი (საკდესი). როგორც იტალიის სარდლობა გადმოგვცემს, იუგოსლავიის ფრონტზე იტალიის მეორე არმიის მოტომექანიზებულმა კოლონებმა მოსტარის დაკავების შემდეგ რაგუზას (დუბროვნიკი) მიაღწიეს და შეუერთდნენ ალბანეთიდან მოსულ მოტომექანიზებულ ნაწილებს, რომელთაც ცეტინიე და კატარო დაიკავეს.

საბერძნეთის ფრონტზე იტალიის ჯარმა დაიკავა პრემეტი, არგიროკასტრონი და ფორტი პალერმო (ალბანეთი).

საომარი ოპერაციები აფრიკაში

ლონდონი, 18 აპრილი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 16 აპრილს ინგლისის ავიაციამ მრავალჯერ მიიტანა იერიში მტრის მოტომექანიზებულ ნაწილებზე და თვითმფრინავთა დასაშვებ მოედნებზე კირენაიკაში.

კაპუცოს ფორტის მახლობლად ბომბარდირებით მოვსპეთ რამდენიმე საბარგო მანქანა და მტერს სხვა ზარალიც მივაყენეთ.

15 აპრილს ღამით ჩვენი ავიაცია თავს დაესხა მტრის მიერ დაკავებულ აეროდრომებს ელ-გაზალში, ელ-ედემში და დერნაში, სადაც პირდაპირი მოხვედრით მოსპობილია ერთი თვითმფრინავი.

აბისინიაში ინგლისის ყუმბარმშენები თავს დაესხნენ დესის აეროდრომს; სამხრეთ-აფრიკის ავიაციის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს და ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხეს მტრის ჯარსა და ბანაკს უადარისა და ალხეს რაიონში (მარგარიტის ტბის აღმოსავლეთით). 16 აპრილს, ღამით, ინგლისის ავიაციამ ინტენსიურად დაუშინა ყუმბარა ტრიპოლის სანავსადგურო ნაგებობებს და ნავსადგურში მდგომ გემებს; ერთ საშუალო ზომის ტანკერს ცეცხლი გაუჩნდა. ყუმბარები დაეცა აგრეთვე სხვა გემების მახლობლად. რამდენიმე ყუმბარა პირდაპირ მოხვდა მოლოს. ბომბარდირებამ ძლიერი ხანძარი გამოიწვია ქალაქის იმ რაიონში, რომელიც ნავსაყუდელს აკრავს.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, გერმანიის ჯავშანსატანკო კოლონები შეკავებულია სოლუმის რაიონში. გენერალ უეიველს ჯერ კიდევ არ გაუყვანია ბრძოლაში მთავარი ძალები და სწრაფად უყრის თავს ჯარს სოლუმის აღმოსავლეთით. აქ მოდიან აღმოსავლეთ აფრიკაში განთავისუფლებული მექანიზებული ნაწილები.

რომი, 18 აპრილი (საკდესი): იტალიის სარდლობა იუწყება: 16 აპრილს, ღამით, ინგლისის კრეისერთა და საესკადრო ნაღმოსანთა დიდმა შენაერთმა იერიში მიიტანა იტალიის გემთა ქარავანზე, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკაში მიდიოდა და რომელსაც ბადრაგა მიჰყვებოდა. ბრძოლის დროს ჩაძირულ იქნა ინგლისის საესკადრო ნაღმოსანი „მოხოკი", რამდენიმე გემი, როგორც სჩანს, დაზიანებულია. იტალიის 1 ნაღმოსანი ჩაძირულია, 2 დაზიანებულია. ჩაძირულია აგრეთვე იტალიის ორი გემი, დანარჩენი დაზიანებულია. ეკიპაჟის მეტი ნაწილი გადარჩა.

ჩრდილოეთ აფრიკაში გრძელდება ტობრუკის გარსშემორტყმა. მტრის თვითმფრინავები თავს დაესხნენ დერნასა და ტრიპოლს. არის რამდენიმე დაჭრილი; ზარალი უმნიშვნელოა.

აღმოსავლეთ აფრიკაში იტალიის ჯარი დესის (აბისინია) სამხრეთით მდებარე სექტორში ენერგიულ წინააღმდეგობას უწევს მტრის იერიშს, რომელიც სულ უფროდაუფრო ძლიერდება. უშედეგოდ დამთავრდა მტრის ცდა შემოჭრილიყო ჩვენს პოზიციებში მდინარე ომოს გასწვრივ საიოს რაიონში.

ინგლისი და ეირე

ნიუ-იორკი, 18 აპრილი (საკდესი). გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის" ცნობით ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ ეირეს ჩრდილოეთ საზღვარზე, ოლსტერის წინააღმდეგ, თავმოყრილია ეირეს 70 ათასი …

ნიუ-იორკი, 18 აპრილი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო მასალის შესასყიდავად ამას წინათ ჩასულმა ეირეს თავდაცვის მინის…

ბოლომდე გარდავქმნათ საფაბრიკო-საქარხნო გაზეთების მუშაობა

(თბილისის მრავალტირაჟიანი გაზეთების სარედაქციო კოლეგიების წევრთა შეხვედრა)

დიდი დრო არ არის გასული საფაბრიკო-საქარხნო გაზეთების მუშაობის გარდაქმნის შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან, მაგრამ თბილისის მრავალტირაჟიანი გაზეთების მუშაობაში უკვე იგრძნობა გარდაქმნის პირველი შედეგები. საფაბრიკო-საქარხნო გაზეთების შტატიანი …

… ნ. კილასონია (გაზ. „სტახანოველი"), მჭედლიძე (გაზ. „თბილისის მაუდელი") და სხვ. აღნიშნავდნენ, რომ მუშაობის ახლებურად მოწყობის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშკორთა მონაწილეობა მრავალტირაჟიან გაზეთებში. მაგალითად, თუ გაზ. „ბიუგელი" წინათ დღეში 3-4 წერილს იღებდა, ახლა მათი …

კოტე ყიფიანის ხსოვნის საღამო

21 აპრილს, საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში (მახარაძის ქ. № 8) ეწყობა ცნობილი მსახიობის კოტე ყიფიანის ხსოვნის აღსანიშნავი საღამო. კ. ყიფიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვა თეატრალური მუზეუმის მეცნიერი მუშაკი ამხ. ს. გერსამია. ქართული სცენის ძველი ოსტატები გამოვლენ მოგონებებით კ. ყიფიანის შესახებ.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. …